ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ევროპაში ბოლო ტურებია


გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | დეპორტივო-რეალი | 11.0 | 7.0 | 1.17 |
| 14.05 | გრანადა-ბარსელონა | 17.0 | 9.5 | 1.08 |
| 14.05 | ატლეტიკო-სელტა | 1.91 | 3.3 | 3.75 |
| 14.05 | დარმშტადი-გლადბახი | 3.5 | 3.6 | 1.91 |
| 14.05 | დორტმუნდი-კიოლნი | 1.25 | 6.0 | 8.0 |
| 14.05 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.08 | 9.0 | 17.0 |
| 14.05 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 14.05 | სასუოლო-ინტერი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 14.05 | ნაპოლი-ფროზინონე | 1.12 | 9.0 | 17.0 |
| 14.05 | მილანი-რომა | 3.2 | 3.6 | 2.15 |
| 14.05 | პსჟ-ნანტი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 14.05 | სტ.ეტიენი-ლილი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 14.05 | ტრუა-მარსელი | 4.5 | 4.33 | 1.61 |
| 15.05 | უოტფორდი-სანდერლენდი | 2.0 | 3.6 | 3.5 |
| 15.05 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.17 | 7.0 | 17.0 |
| 15.05 | ჩელსი-ლესტერი | 2.3 | 3.6 | 2.9 |

შაბათი – კვირა, 14 – 15 მაისი, 2016 №113 (7039) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ მაჭავარიანი: „პაატა ბურჭულაძესთან, შესაძლოა, კოალიცია შევქმნათ“


გვ.2

„იუსტიციის სახლის იდეა ზურაბ ადეიშვილის იყო და არა – გიორგი ვაშაძის“



## ლევან ხაბეიშვილი: „სუსი ნარმანიას გადაყენებისთვის ფონს ამზადებს“


გვ.3

რაზე აფრთხილებდა ერთი წლის წინ „მედიატორი“ თბილისის მერს



## ბიძინა გუჯაბიძე: „პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკაში მოსვლით შეცდომა დაუშვა“


გვ.2

„ახალი სახეები პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ, მაგრამ საჭიროა გამოცდილი ადამიანების რესურსის გამოყენებაც“

## ელიზბარ ჯაველიძე: „საარჩევნო სიებს ამერიკის ელჩი ადგენს“

გვ.4

„რესპუბლიკელები შეიძლება ისევ მიეწებონ „ქართულ ოცნებას“



## არჩილ გამზარდია: „მეჭიაურის ადგილი „ქართულ ოცნებაში“ არ არის!“



გვ.5

„პაატა ბურჭულაძეს იგივე ტექსტები აქვს, როგორიც ნაცმოძრაობას“



## „მარგველაშვილი გალიზიანებული, ჭიჭყინა ბავშვივით იქცევა“

გვ.5

## სოსო ცინცაძე: „დღეს ივანიშვილს პოლიტიკა არ აინტერესებს“

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სია ბევრ რამეს გვეტყვის“


გვ.4

ISSN 1987-9385

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის უფროსი დააკავა

გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მიხეილ მაჭავარიანი: „პაატა ბურჭულაძესთან, შესაძლოა, კოალიცია შევქმნათ“

## „იუსტიციის სახლის იდეა ზურაბ ადეიშვილის იყო და არა – გიორგი ვაშაძის“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გამოუცხადეს „ქართულ ოცნებას" პროცედურული ომი, დამყარდა თუ არა ნაცმოძრაობაში დიქტატურა, ვინ აპირებს პარტიიდან გაქცევას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**

***– 12 მაისს პარლამენტს სუსის უფროსისთვის უნდა მოესმინათ. ეს მოსმენა ჩავარდა, ხელისუფლება ამას ნაცმოძრაობას სდებს ბრალად და აცხადებს, რომ თქვენ მათ პროცედურული ომი გამოუცხადეთ.***

– დიახ, ჩვენ გამოვაცხადეთ პროცედურული ომი და ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. 12 მაისის პარლამენტის სხდომაზე განსახილველად გამოიტანეს ბესელიას მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებას ეხებოდა. ბესელიამ ევროსაბჭოს მომხსენებლებს პირობა მისცა, რომ ამ კანონს არ გაიტანდა განსახილველად. რადგანაც პირობა დაირღვა, ჩვენც გადავწყვიტეთ საპასუხო ზომების მიღება.

ეს კანონი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ხელისუფლება ცდილობს, საკონსტიტუციო სასამართლო უმოქმედოდ აქციონ. ამ კანონის განხილვა რუსთავი 2-ის სასამართლოს დაემთხვა. ცდილობენ, ისეთ ჩარჩოებში მოაქციონ საკონსტიტუციო, რომ მისგან რაღაც პრობლემები არ შეექმნათ. ჩვენ უმრავლესობას დავპირდით, რომ ამ კანონის წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებდით და ეს შევუსრულეთ.

რაც შეეხება გომელაურს, მისი მოსმენა თავად უმრავლესობას არ სურდა. მათ ეს საკითხი მიაჩუმათეს. წესით, პარლამენტში მისი მოსვლის შესახებ ბიუროს სხდომაზე უნდა გაკეთებულიყო განცხადება. ბიუროზე არაფერი თქვეს და მხოლოდ წინა დღეს გაამხილეს ეს ამბავი. რა უნდა ამ ხალხს, მართლა ვეღარ გავიგე. ერთი დასკვნა ნამდვილად მაქვს – ეს ხელისუფლება არის სრულიად უნიათო და ეს მთავრობის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობამ დაამტკიცა. თავიანთ წვენში იხარშებიან და არავინ ფიქრობს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე. ქვეყანა კრიმინალმა და გაჭირვებამ წალეკა, ესენი კი იმაზე ზრუნავენ, საარჩევნო სიაში მოხვდნენ როგორმე.

***– საარჩევნო სიაში მოხვედრას თქვენი პარტიის წევრები არ ცდილობენ?***

– პოლიტიკაში ვინც არის, ყველას სურს პარლამენტში მოხვედრა. ჩვენთანაც მიდის ეს პროცესი, მაგრამ მას საერთო არაფერი აქვს იმასთან, რაც „ქართულ ოცნებაში“ ხდება.

***– მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ ამ მხრივ თქვენთან გაცილებით მძიმე მდგომარეობაა და მაგალითად გიორგი ვაშაძის წასვლა მოჰყავთ.***

– ამ ამბავმა მართლა სულზე მიუსწრო ხელისუფლებას. გიორგი ვაშაძემ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, მარტო ქოცებს რომ გაუხარდათ. პირადად მე გაცილებით ადრე ვიცოდი, რომ ვაშაძესთან დაკავშირებით რაღაც მოხდებოდა და ეს პროცესი უნდა დამეჩქარებინა. უბრალოდ, მეგონა, რომ მას უფრო მეტი პასუხისმგებლობა ექნებოდა.

***– როგორც ამბობენ, სიის ფორმირების პროცესმა ბევრი თქვენი თანაპარტიელი გაანაწყენა. ექსპერტები და პოლიტიკური წინასწარმეტყველები ვარაუდობენ, რომ ვაშაძესავით სხვებიც გაიჯახუნებენ კარს. მართლა არის ამის საშიშროება?***

– ვიღაცას, შესაძლოა, კიდევ უმტყუნოს ნერვებმა და წავიდეს. მე ეს არ მიმაჩნია დიდ ტრაგედიად. საარჩევნო სიის ფორმირების დროს ყოველთვის არის დაძაბულობა. ასეთი რამე ყველა პარტიაში ხდება. მე არ ვმალავ, რომ ჩვენთან დაძაბულობა არის, მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ, ქოცებში რა ხდება.

***– თქვენ სად ნახეთ, რა ხდება ქოცებში?***

– პარლამენტში რასაც ვხედავ, ესეც საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად. „ქართული ოცნების“ დეპუტატები გადარეულები დადიან, არცერთმა არ იცის, მოხვდებიან თუ არა სიაში.

სიაში სასურველ ადგილზე არმოხვედრის გამო პარტიიდან დემარ-



შით წასვლა გამართლებული ნაბიჯი არ არის. ასეთ რამეს უპასუხისმგებლო ადამიანები აკეთებენ. გიორგი ვაშაძეს შეუძლია, ყველაფერი დამაბრალოს, მაგრამ მე უამრავი ადამიანის წინაშე მაქვს პასუხისმგებლობა აღებული. საუბარია ჩვენი პარტიის წევრებზე, რომლებმაც 2012 წლიდან არნახულ ზეწოლებს გაუძლეს.

***– ვაშაძის ბრალდებები ახსენეთ და მართლა კაბინეტურ მმართველობაზე ხართ გადასული?***

– რის კაბინეტური მმართველობა, კაცო, კაბინეტი საერთოდ არ მაქვს. ყველას შევახსენებ, რომ თავის დროზე საკუთარი სურვილით წავედი აღმასრულებელი მდივნის თანამდებობიდან. ამ დროს ვაშაძე პარტიის მდივანი იყო. ამას წინათ წავიკითხე, ბაქრაძეზე ამბობდა, შეგვახსენოს, რომელი რეფორმა გაატარაო. მაგას ის ხომ არ ჰგონია, რომ თავად გაატარა რეფორმები. ასე თუ ფიქრობს, მისთვის გასაგები რომ იყოს, უკრაინის მაგალითს მოვიყვან.

უკრაინის რადა რატომ არ ამტკიცებს რეფორმებს და რატომ იჭედებიან? იმიტომ, რომ რადაში ამის ნება არ არსებობს. ჩვენთანაც ცხარე დებატები იყო ამ რეფორმებზე, მაგრამ გავიტანეთ. ისიც კარგად გვახსოვს, ვის ეკუთვნის იუსტიციის სახლების იდეა.

***– ბოლოს და ბოლოს, ვისი იდეა იყო ეს? იმდენი იბრალებს, ხალხი დაბნეულია.***

– ვისი იდეა იყო და ზურაბ ადეიშვილის. ისიც კარგად მახსოვს, რა ეტაპიდან ჩაერთო ამ პროცესში გიორგი ვაშაძე. არც პარტია ჩაკეტილა და ჩვენი სამდივნო სულ ღიაა. პოლიტსაბჭოზე დასწრება და საკუთარი აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია.

***– აზრის გამოთქმა შეიძლება ყველას შეუძლია, მაგრამ გადაწყვეტილებებს ვინ იღებს?***

– გადაწყვეტილებებს ყველა ერთად ვიღებთ. ინტერვიუ დავიწყეთ საპროცედურო ომზე. ეს გადაწყვეტილება ყველამ ერთად მივიღეთ. ეს პარტია არავის მიერ არ არის მონოპოლიზებული. პარტიის მდივანი თუ ხარ, პარტიის ოფისში უნდა იარო და პარალელური სტრუქტურები არ უნდა შექმნა.

***– გადაწყვეტილებებს ყველა ერთად ვიღებთო. სააკაშვილიც მონაწილეობს ამ პროცესში?***

– რატომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მიშა არის ამ პარტიის ლიდერი და, ბუნებრივია, ამ პროცესებშია ჩართული.

***– გოგა ხაჩიძე ამბობს, რომ სააკაშვილი პარტიას ბოლომდე ვეღარ აკონტროლებს.***

– ეს ზღაპარია. მიშა ყველა პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით თავის პოზიციას აფიქსირებს. ჩვენ ჩვენსას ვეუბნებით.

***– საბოლოოდ ვისი პოზიცია იმარჯვებს ხოლმე, თქვენი თუ იმისი?***

– ხან ჩვენი, ხან – მიშასი. ყველა საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა. პარტიაში ყველა მიმართულებით დემოკრატიული პროცესები მიდის. გირჩებს რომ ჰკითხო, ჩვენთან დემოკრატია არ იყო. თუ ეს მართალია, რატომ არ იბრძოლეს, რომ დემოკრატია დამყარებულიყო? ერთ-ერთი გირჩთაგანი პარტიის აღმასრულებელი მდივანი იყო.

მიშას უკრაინაში ბევრი საქმე აქვს, მაგრამ პარტიისთვის ყოველთვის იცლის, გვაცნობს შეხედულებებს. მაგალითად, გვესაუბრა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სიაში გენდერული თანასწორობა. ჩვენ, სააკაშვილის გარდა, აზრს რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც ვეკითხებით.

***– მოდით, პაატა ბურჭულაძეზეც ვისაუბროთ. მან ოფიციალურად განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოდის.***



***ამბობენ, რომ ის არის ნაციონალების პროექტი და მალე თქვენთან ალიანსში შემოვა.***

– პაატა ბურჭულაძესთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ნაციონალური მოძრაობის მთავარ მიზანს ივანიშვილის მმართველობის დასრულება და არსებული კრიზისის დაძლევა წარმოადგენს. მომავალი გვიჩვენებს, რომელი ძალები იქნებიან ამ ბრძოლაში თანმიმდევრულები და ვის ექნება დასავლური ღირებულებები. თუ ამ კრიტერიუმს დავაკმაყოფილებთ ჩვენც და ბურჭულაძეც, ბუნებრივია, იქნება თანამშრომლობა.

ქოცები მას შეგნებულად უვრცელებენ ხმებს, რომ ის ჩვენი პროექტია. თავიანთი ჭკუით, ფიქრობენ, რომ ამით პაატას დააზარალებენ. მათიც კარგად მესმის. იციან, რომ ბურჭულაძის გამოჩენა მათ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. პრევენციული დარტყმები შედეგს არ მოუტანს. სულ უფრო იზრდება იმ პარტიების რაოდენობა, რომლებსაც „ქართული ოცნება“ აღარ აწყობთ. უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ერთ მხარეს არიან ქოცები, ხოლო დანარჩენი პარტიები – მეორე მხარეს.

***– თქვენი პასუხიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ბურჭულაძესთან მართლა შეხვალთ ალიანსში.***

– ამის თქმა ჯერ ნაადრევია. კოალიციის შექმნას არ გამოვრიცხავ, მაგრამ მანამდე უნდა ვნახოთ, რა გუნდი ეყოლება მას. საინტერესოა ასევე მათი ეკონომიკური პროგრამა. ასეთი რამე ჯერ არ მინახავს. ასე რომ, დასკვნების გაკეთება ჯერ არ ღირს.

# ბიძინა გუჯაბიძე: „პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკაში მოსვლით შეცდომა დაუშვა“

## „ახალი სახეები პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ, მაგრამ საჭიროა გამოცდილი ადამიანების რესურსის გამოყენებაც“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარდა, პოლიტიკაში ახალი სახეების მოყვანის აუცილებლობაზე პაატა ბურჭულაძეც ალაპარაკდა. ორგანიზაცია „სახელმწიფო ხალხისათვის“ ლიდერმა განაცხადა, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი სრულ განახლებას საჭიროებს. კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის უმრავლესობის წევრი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარტიების მიერ არჩეული განახლების ტაქტიკა, ზოგადად, სწორია.**



**ბიძინა გუჯაბიძე:**

– „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც აცხადებენ, რომ საარჩევნო სიას განაახლებენ. „ქართულ ოცნებაში“ იგეგმება ახალგაზრდა პროფესიონალი და ნიჭიერი ადამიანების მოზიდვა. ეს ბუნებრივი და სწორი პროცესია. სახელგატეხილმა ნაცმოძრაობამ კარგად იცის ხალხით მანიპულირების ხერხები. ნაციონალებს თავის გადარჩენა ახალი სახეებით უნდათ. თავის გადასარჩენად ისინი ყველაფერზე მიდიან. ზოგადად, პოლიტიკაში ახალი სახეების, პროფესიონალების მოზიდვა სწორია. ამასთან, საჭიროა გამოცდილი კადრების გამოყენებაც, თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურებში.

***– პაატა ბურჭულაძის განცხადებაზე რას იტყვით? მას აუცილებლად მიაჩნია პოლიტიკური სპექტრის ძირფესვიანად განახლება.***

– პაატა ბურჭულაძე პოლიტიკოსი არ არის. ის სხვა სფეროშია გამოჩენილი პიროვნება. პოლიტიკაში მას არ გააჩნია ავტორიტეტი, ამიტომ პოლიტიკურ საკითხებში პაატა ბურჭულაძე ვერ იქნება კომპეტენტური.

***– აირაიმ ის ყველაზე რეიტინგულ პოლიტიკურ ფიგურად მანამდე დაასახელა, ვიდრე ის პარტიის შექმნას დააანონსებდა.***

– აირაისა და ენდიაის თბილისის ოფისებმა იმდენჯერ დაგვიდეს რეალობიდან დაშორებული მონაცემები, განსა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ხაბეიშვილი: „სუსი ნარმანიას გადაყენებისთვის ფონს ამზადებს“

## რაზე აფრთხილებდა ერთი წლის წინ „მედიატორი“ თბილისის მერს

შორენა მარსაგიშვილი

**13 მაისს სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის უფროსი ვასილ ბექაური ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.**

ვასილ ბექაური დედაქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძის ცოლისძმაა. მასთან დაკავშირებით სკანდალი 2014 წელსაც აგორდა, მაგრამ მაშინ დედაქალაქის მერმა მას საკუთარი კალთა გადააფარა.



— ვასილ ბექაური 2014 წელს დაინიშნა ნაძალადევის რაიონში ერთ-ერთი სამსახურის უფროსად. ის ნაძალადევის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ დანიშნა. ჩვენმა ორგანიზაციამ იმ პერიოდში გამოაქვეყნა კვლევა, სადაც ნეპოტიზმზე გვქონდა საუბარი. ბექაური იყო მალაღურაძის ცოლისძმა და მისი შერჩევა მოხდა ნათესაური ნიშნით. ჩვენი ნათქვამი 2014 წლის 29-30 დეკემბერს გამართულ გამოცდებზეც გამოჩნდა. ვასილ ბექაურმა ეს გამოცდები ვერ ჩააბარა, მაგრამ სამსახურში დატოვეს, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი.

მისივე თქმით, ბექაურმა გამოცდები მხოლოდ მეორე ცდაზე ჩააბარა. ხაბეიშვილი ეჭვობს, რომ მას ტესტები წინასწარ მისცეს.

მეორე სკანდალში ბექაური „მედიატორის“ მორიგი კვლევის შედეგად გაეხვია. ამის გამო მონიტორინგის ცენტრს სასამართლოშიც კი უჩივლეს.

— 2015 წელს ჩვენ ჩავატარეთ კვლევა ნასამართლევი თანამდებობის პირების შესახებ. ნასამართლევთა სიაში მოხვდა ვასილ ბექაურიც. ის საბურავების ქურდობისთვის იყო ნასამართლევი.

ჩვენ მაშინ განცხადება გავაკეთეთ, რომ იმ ადამიანის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა, რომელიც გამოცდას ვერ აბარებს და წარსულში ნასამართლევია, გარკვეულ რისკებს შეიცავს. ჩვენი პროგნოზი ერთ წელიწადში გამართლდა და ეს ადამიანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს, — ამბობს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

მისივე თქმით, ამ კვლევის გამოქვეყნების შემდეგ ის ნარმანიამ და ბექაურმა მერიის დისკრედიტაციის მცდელობაში დაადანაშაულეს.

— ისინი სასამართლოში ჩივილითაც დამემუქრნენ. მათ მხოლოდ განცხადება შეიტანეს. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემ მიერ გავრცელებული ინფორმაცია მართალი იყო, ვერსადაც ვერ მიჩივლეს, — განაცხადა ხაბეიშვილმა.

თუ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გადავხედავთ, ხაბეიშვილისთვის სასამართლოში ჩივილი გარკვეულ რისკებს შეიცავს.

— მე მიჩივლა ბაღდათის გამგებელმა, რომელიც ცოტა ხნის წინ დააკავეს. მიჩივლა სამგორის გამგებელმა, რამდენიმე დღის წინ ის სამსახურიდან გაუშვეს. ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ ჩვენ არავის ვწამებთ ცილს და ინფორმაციებს მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ვავრცელებთ. — აღნიშნავს „მედიატორის“ ხელმძღვანელი.

ხაბეიშვილის განცხადებით, სუსი დაკავებულებს იმავე ბრალდებებს უყენებს, რომელსაც „მედიატორი“.

— რასაც ჩვენ ვაქვეყნებთ ხოლმე, იმავეს იმეორებს ცოტა ხანში სუსი. ვხუმრობდით კიდეც, დაგვასაქმონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში და ამ საქმეს ჩვენზე უკეთესად ვერავინ გააკეთებს. ეს ხუმრობით, მაგრამ საქმე სახუმაროდ არ არის, რადგან მერიაში კიდევ ბევრი კრიმინალი და ოროსანი ზის.

ბოლო დროს განხორციელებული დაპატიმრებები მიუთითებს იმაზე, რომ მერიაში დანაშაულების ფაქტებს სისტემური ხასიათი აქვს, — ამბობს ხაბეიშვილი.



„მედიატორის“ დამფუძნებელი მიესალმება სუსის აქტიურობას, ამასთან, აქვს სერიოზული ეჭვები, თუ რატომ გააქტიურდა უსაფრთხოების სამსახური.

აი, რას ფიქრობს ამაზე:

— ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, სუსის დახმარებით ნარმანიაზე ხორციელდება ზეწოლა. მე იმას არ ვამბობ, რომ მათ უკანონოდ დააკავეს ვილაცეები, მაგრამ ამ საქმეების გამოძიება არ იჩქარეს. ახლა მხოლოდ ფაქტებს ამზეურებენ. ეს ერთ მიზანს ემსახურება — დავით ნარმანია წავიდეს თანამდებობიდან.

* * *

ლევან ხაბეიშვილი სამართალდამცავ ორგანოებს ნაძალადევის გამგებლის დაკითხვისკენაც მოუწოდებს. მისი თქმით, საქმე, რომელზეც ბექაური დააკავეს, გაბუნიას გარეშე ვერ გადაწყდებოდა.

# იგორ გიორგაძე: „სააკაშვილს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს“

რუსული გამოცემა „Известия“ სტატიას აქვეყნებს, რომლის ავტორიც გახლავთ იგორ გიორგაძე (საქართველოს უშიშროების ექსმინისტრი 1993-95 წლებში, ამჟამად კი რეგიონული საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველო საზღვარგარეთ“ ხელმძღვანელი).

სტატიაში განხილულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსპექტივა — შესაძლებელია თუ არა მისი დაბრუნება საქართველოში? პუბლიკაციაში ჩამოთვლილია ავტორის შეხედულებით, ექსპრეზიდენტის მიერ ჩადენილი დანაშაულობები. ავტორის აზრით, მიხეილ სააკაშვილი უნდა გასამართლდეს და სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

— მიხეილ სააკაშვილი უკვე გადამუშავებული მასალაა. სანამ იგი ხელისუფლებაში იყო, მას ებრძოდნენ და 2012 წელს დაამარცხეს კიდეც. სხვა საქმეა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არიან მისი მხარდამჭერები: დეპუტატები, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები... ისინი აქტიურად ემზადებიან არჩევნებისათვის. ჰოდა, როგორც მიხეილ სააკაშვილი გვპირდება, იგი სწორედ მათი გამარჯვების შემდეგ დაბრუნდება საქართველოში.

გვერდზე გადავდოთ ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილმა თვითონ დათმო საქართველოს მოქალაქეობა და გავიხსენოთ მისი საქართველოდან გაქცევა-გაძევების ისტორია. იგი ჩადენილი დანაშაულებების გამო გაიქცა: მკვლელობებისათვის, წამებისათვის, თანაც ისეთი წამებისათვის, რაც გესტაპოელებსაც კი არ დაესიზმრებოდათ.



დღეს უკრაინაში რაღაც უცნაური ექსპერიმენტები ტარდება: კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის იძებნება, მეორე ქვეყნის გუბერნატორად დანიშნულიყოს. იგი უნდა გასამართლდეს და სასჯელის მაქსიმალური ზომა უნდა მიესაჯოს — მუდმივი პატიმრობა. ვიმედოვნებ, რომ ასეც მოხდება. თუ ამას ქართველები ვერ შეძლებენ, მაშინ ამას უკრაინელები განახორციელებენ. უკრაინის ხელისუფლებაში ბევრი უკვე მიხვდა, თუ ვინაა და რა ფიგურაა მიხეილ სააკაშვილი. გარდა ამისა, ექსპრეზიდენტს უამრავი პირადი მტერი ჰყავს — მან ხომ უამრავი ოჯახი გააუბედურა...

ალბათ, როცა საბჭოთა კავშირი — „წითელი იმპერია“ — ინგრეოდა, ჩვენმა ხალხმა წინაპართა სიბრძნე დაივიწყა. [1990-იან წლებში და მას შემდეგაც საქართველოში] ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული და, როგორც ჩანს, ღმერთმა დაგვსაჯა. საბოლოოდ, ქართველმა ხალხმა თავისი შინაგანი ძალების მობილიზება მოახდინა და მიხეილ სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმი ჩამოიშორა.

უძველესი დროიდან ქართველი ხალხი თავისი წინაპრების ტრადიციების მატარებელი იყო: ღირსება, პატიოსნება, ტოლერანტობა, იუმორი, დიდსულოვნება, სტუმართმოყვარეობა... ძალზე იშვიათია მსოფლიოში ასეთი ხასიათის მქონე ხალხი...

„მოკლედ, დაბრუნდება თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოში? მოდით, კითხვა ასე დავსვათ: მოისურვებს თუ არა ჩვენი ხალხი კვლავ გაიმეოროს ის შეცდომა, რაც ერთხელ უკვე ძვირად დაუჯდა? არა მგონია, — ასეთია ავტორის დასკვნა.

**ნიუსპრესი**

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის უფროსი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის უფროსი ვასილ ბექაური დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვასილ ბექაურმა ერთ-ერთი სამეწარმეო სუბიექტის მფლობელს ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში მდებარე დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შესაცვლელად ჩასატარებელი სამუშაოების გადაცემისა და დაფინანსების სანაცვლოდ ქრთამის სახით გარკვეული თანხის გადახდა მოსთხოვა.

2016 წლის აპრილში, ვასილ ბექაურმა ქრთამის სახით აიღო 1.800 ლარი. ამასთან, 2016 წლის 11 მაისს ვასილ ბექაურმა იმავე სამეწარმეო სუბიექტის მფლობელისაგან ქრთამის სახით დამატებით მოითხოვა და აიღო 2.000 ლარი, რა დროსაც იგი დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

# ბიძინა გუჯაბიძე: „პაატა ბურჭულაძემ პოლიტიკაში მოსვლით შეცდომა დაუშვა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კუთრებით — პოლიტიკურ რეიტინგებში, რომ მათი ნდობა შეუძლებელია. ამ კვლევებში ადგილობრივი ორგანიზაციებიც მონაწილეობენ. ვინც არიან ეს ადგილობრივი ძალები, ყველამ იცის. ვერანაირად ვერ იქნება სამართლიანი და სწორი, როცა რეიტინგულ პოლიტიკურ ფიგურად სახელდება პოლიტიკის გარეთ მყოფი ხელოვანი. ეს კვლევა ჩატარდა იმ დროს, როცა მას ჯერ გამოცხადებულიც არ ჰქონდა პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ. პარტიაზე განაცხადი ახლა გაკეთდა.

ხალხი ამ მონაცემს არ ენდობა. მოსახლეობასთან შეხვედრები ადასტურებს, რომ სინამდვილე აირაის მიერ დახატულ სურათს არ ემთხვევა. ვფიქრობ, პაატა ბურჭულაძეს შეცდომა მოუვიდა, როცა პოლიტიკაში შემოვიდა. მას არანაირი პოლიტიკური ალღო და გამოცდილება არ გააჩნია. იმედი მაქვს, იგი არ გახდება იარაღი სხვა გამოცდილი და საეჭვო ძალების ხელში.

## „გიორგი ვაშაძემ გათქვა, რომ ნაცმოძრაობას ძალიან ცუდად აქვს საქმე“

***— სერიოზული პროცესები მიდის ნაციონალურ მოძრაობაში. რას იტყოდით ამ პროცესებზე?***

— ბოლო დროს ნაციონალური მოძრაობა დატოვა გიორგი ვაშაძემ. ამ კაცს ლაპარაკი ეხერხება. ის კარგად ახმოვანებდა ხოლმე სააკაშვილის პოზიციებს. გიორგი ვაშაძის ნაბიჯიდან და ამ თემაზე გაკეთებული განცხადებებიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

***— კერძოდ?***

— გიორგი ვაშაძემ, ფაქტობრივად, გათქვა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ცუდად აქვს საქმე. საუბარი და დავა მიმდინარეობს საარჩევნო სიის პირველ ათეულზე. ნაციონალურ მოძრაობაში იციან, რომ შეიძლება მომავალ პარლამენტში ათი კაციც ვერ გაიყვანონ. გიორგი ვაშაძემ ეს ამხილა და გამოააშკარავა. ნაცმოძრაობის რეიტინგი არ არის ისეთი, როგორსაც საეჭვო სოციოლოგიური კვლევები ავრცელებენ. ნაციონალების რეიტინგის ვარდნა გასაკვირიც არ არის.

***— ბოლო დროს „ქართულ ოცნებაშიც“ დიდი აურზაურია, განსაკუთრებით — თამაზ მეჭიაურის განცხადებების შემდეგ.***

— თამაზ მეჭიაურმა გამოხატა თავისი პირადი მოსაზრებები. მისი განცხადებები არ არის თანხვედრაში „ქართული ოცნების“ პოზიციებთან. თამაზ მეჭიაურის რადიკალური და განსხვავებული განცხადებები, შესაძლოა, მას გარკვეულწილად ამაღლებდეს ამომრჩევლის ნაწილის თვალში, მაგრამ პოლიტიკურად ისინი წამგებიანია.

***— იმიტომ, რომ სახელმწიფოს პოლიტიკას ეწინააღმდეგება?***

— ბუნებრივია. როცა მმართველ პარტიასა და უმრავლესობაში ხარ, არ შეიძლება გამოხატო აზრი, რომელიც სახელმწიფოს მიერ არჩეულ კურსს ეწინააღმდეგება. პოლიტიკოსმა ანგარიში უნდა გაუწიოს სახელმწიფოს. როგორც ვიცი, თამაზ მეჭიაურმა შეიძლება „ქართული ოცნებაც“ დატოვოს. „ქართული ოცნება“ რჩება სერიოზულ ძალად, რომელსაც ჩამოყალიბებული ხედვები აქვს. მათ შორის — საგარეო საკითხებზე.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნათია ხურცილავა

# სოსო ცინცაძე: „დღეს ივანიშვილს პოლიტიკა არ აინტერესებს“

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია ბევრ რამეს გვეტყვის“

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნებში პარტიების შანსებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, პაატა ბურჭულაძემ უკვე ღიად განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში მიდის. როგორია მსოფლიო ბანის შანსები ამ არჩევნებზე?***

— დღევანდელი მონაცემებით, პარლამენტში შევა, მაგრამ, არ ვიცი, როგორია მისი ამბიციები, დასჯერდება კი მხოლოდ პარლამენტში შესვლასა და რამდენიმეკაციანი ფრაქციის შექმნას, რომელსაც დამოუკიდებლად არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლება პოლიტიკურ პროცესებზე თუ უფრო სერიოზული ამბიციები აქვს.

***— როგორც თავად ბურჭულაძე აცხადებს, მას სერიოზული ამბიციები აქვს და უმრავლესობით აპირებს მოსვლას პარლამენტში.***

— პოლიტოლოგიის კლასიკაა, როდესაც ნეოფიტი მოდის პოლიტიკაში, პოლიტიკისთვის გამოუცდელი იგულისხმება, მაშინ გადამწყვეტი ფუნქცია ახლო გარემოცვას ენიჭება. სწორედ ეს ახლო გარემოცვა არ იწვევს დიდ ნდობას.

***— რატომ?***

— ახალი სახეები, კრეატიული სახეები არ არიან. ეს ადამიანები — ყველა უკვე გამოცდილი ჰყავს ქართველ ხალხს, ზოგი შევარდნაძის მმართველობის დროს, ზოგი სააკაშვილის და ზოგიც — ივანიშვილის დროს. მე არ ვაფასებ მათ — კარგია, ცუდია, ჭკვიანია. აქ საუბარია იმაზე, რომ ეს არ არის სიახლე. თითოეულ მათგანს საზოგადოება კარგად იცნობს, მათ რამდენიმე



ნავსაყუდელი გამოიცვალეს. ქართულ პოლიტიკას დღეს ახალი სისხლი სჭირდება. კრეატიული ძალაა საჭირო. ამ მხრივ, ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს ბურჭულაძე.

დღეს რთულია თქვა, როგორი იქნება პაატა ბურჭულაძის მარგი ქმედების კოეფიციენტი, იქნება ის ისეთივე წარმატებული პოლიტიკაში, როგორც ოპერაში. თავის დროზე, 2012 წლის არჩევნების წინ, ბიძინა ივანიშვილმა თავისი გეგმა, სტრატეგია გააცნო საზოგადოებას, იქ ამოცანებიც დასახა და თქვა, რომ 40% პარლამენტში მისთვის არაფერი იყო, 60%-ზე აკეთებდა აქცენტს, რომ მთავრობა დაეკომპლექტებინა. არ ვიცი, პაატა ბურჭულაძეს აქვს ამბიცია, რომ 60%-ზე გავიდეს პარლამენტში?!

დიდ პატივს ვცემ, შემიძლია გითხრათ, ბურჭულაძის ფანატი ვარ, მაგრამ — როგორც საოპერო ბანის. ასევე დიდი გულშემატკივარი ვიყავი ივანიშვილის, როგორც ქველმოქმედის. თუ მეტყვით, რამდენად ამართლებს არაპროფესიონალი პოლიტიკოსი, გეტყვით, რომ — იშვიათად.

საინტერესო მაგალითია ამერიკაში ტრამპის გამოჩენა, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, თეთრ რაშზეა ამხედრებული, მაგრამ დაველოდოთ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. უცნობი სახე შეიძლება ასე უცებ გამოჩნდეს და გაიმარჯვოს კიდეც, ხელისუფლების სათავეში მოვიდეს. ამის ბევრი მაგალითი ახსოვს პოლიტიკის ისტორიას, მაგრამ, რამდენად იყვნენ წარმატებულები ქვეყნის მართვაში, თითქმის არ მახსენდება. არ მახსენდება, ნეოფიტს უშეცდომოდ ემართა ქვეყანა. გამონაკლისები, ცხადია, არიან, მაგალითად, აბრაამ ლინკოლნი, რომელიც ხის მჭრელი იყო, მაგრამ ის თვითნაბადი იყო და ასეთები რამდენიმე საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

***— ვისთან შეიძლება ბურჭულაძემ ითანამშრომლოს? ირაკლი ალასანიამ არ გამორიცხა თანამშრომლობა.***

— პირველ რიგში, ალბათ, ალასანიასთან ითანამშრომლებს, ასევე, არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტში შესვლის შემდეგ თანამშრომლობა იყოს „ქართულ ოცნებასთან“.

ბურჭულაძის პროგრამა ძალიან საინტერესო იქნება. არა მგონია, ბურჭულაძემ თქვას, რომ საწვავი უფასო იქნება, ტარიფებს გაანახევრებს. საინტერესოა, მისი მთავარი გზავნილი რა იქნება. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რისი მომხრეა და რისი წინააღმდეგი ბურჭულაძე. ჯერ საზოგადოებამ მის შესახებ არაფერი იცის. აქ პოლიტიკას, მის შეხედულებებს ვგულისხმობ და არა მას, როგორც პიროვნებას.

***— 8 ივნისს წინასაარჩევნო კამპანია გაიხსნება. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— თუ სუპერმოულოდნელობა არ მოხდა, „ქართული ოცნება“, არსებული საარჩევნო კანონის ხარჯზე, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეცვლის, პარლამენტში უმრავლესობას გაინაღდებს, მაგრამ, რამდენად იქნება ეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რთული სათქმელია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბიძინა ივანიშვილს უკვე აღარ აინტერესებს პოლიტიკა.

***— პარტია „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ამბობთ ამას?***

— დიახ, თუნდაც მის პარტიაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე მრჩება ეს შთაბეჭდილება. სიებთან დაკავშირებით შეიძლება ასეც ვთქვა, თუნდაც იმ ოდიოზური ფიგურებიდან გამომდინარეც, თუმცა მეჭიაური არ მყავს მხედველობაში. თუ ივანიშვილმა ეს ადამიანები დატოვა სიაში, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მას პოლიტიკა არ აინტერესებს.

„ოცნების“ საარჩევნო სია ბევრ რამეს გვეტყვის. ივანიშვილმა თავისი ფუნქცია შეასრულა, სააკაშვილი დაამარცხა და შემდეგ უკვე ინტერესი დაკარგა პოლიტიკისადმი. ახლა სულ სხვა ინტერესები აქვს — ბუნება, ეკოლოგია, დღეს პოლიტიკისგან განსხვავებული პროექტები აინტერესებს.

***— პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ვისაც საგარეო ვექტორებთან დაკავშირებით ოდნავი ეჭვი აქვს, ჩვენს სიაში ვერ იქნებაო. ამ გზავნილის ადრესატი ვინ იყო?***

— პირველ რიგში, მეჭიაური. მეჭიაურს ეჭვი აქვს და მან ეს ღიად გამოთქვა. ეტყობა, „ოცნების“ სიაში არ იქნება, მაგრამ დამოუკიდებლად იყრის კენჭს. დღეს არაკონტროლირებადია მთელი ეს პროცესი. ასევე საგრძნობია „ოცნებაში“ არსებული ქაოსი.

***— რას უკავშირდება ეს ქაოსი?***

— ვინც შექმნა ეს პარტია და ვინც მართავდა ყველა პროცესს, ის აღარ არის. მან დაკარგა ინტერესი. პარტიას არ ჰყავს ლიდერი. ეს პრობლემა მათ ყრილობაზე გადაწყდება და აირჩევენ, როგორც უკვე ვიცით, პრემიერ კვირიკაშვილს, მაგრამ მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მათი სია, რომელსაც მთელი ქვეყანა ელოდება — ვინ იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც ოთხი წლით პარლამენტში შევლენ და ქვეყანას კანონებს დაუწერენ.

# ელიზბარ ჯაველიძე: „საარჩევნო სიებს ამერიკის ელჩი ადგენს“

## „რესპუბლიკელები შეიძლება ისევ მიეწებონ „ქართულ ოცნებას“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ დაუტკბნენ რესპუბლიკელები პრემიერს, როგორ დგება საარჩევნო სიები, რაზე უნდა იფიქროს ბიძინა ივანიშვილმა? — ამის შესახებ „ახალ თაობას" ყოფილი დეპუტატი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— რესპუბლიკელები გახარებული ჩანან იმ განცხადებით, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა თამაზ მეჭიაურთან დაკავშირებით გააკეთა. ბერძენიშვილები და ცოლ-ქმარი ამას ისე წარმოაჩენენ, თითქოს მათი გავლენის ქვეშ მოექცა პრემიერი, რაც სიმართლე არ არის. მეჭიაურის შემთხვევაში ადგილი აქვს ამერიკის ჩარევას. მათ გარეშე რესპუბლიკელები რისი გამკეთებლები არიან? ამერიკა რომ არ აწვდიდეს ჟანგბადს, საერთოდ ხმას ვერ ამოიღებდნენ, იმდენად დაბალი რეიტინგი აქვთ.

მეჭიაურს რაც შეეხება, მას რესპუბლიკელებზე მეტი რეიტინგი აქვს. მის მიმართ ნდობა ბოლო დღეებში კიდევ უფრო გაიზარდა. ამ ადამიანმა განაცხადა, ნატოში არავინ მიგვიღებს და თუ მიგვიღეს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე მიგვიღებენო. ეს არის სრული სიმართლე.

უკვე წლებია მიდის იმაზე საუბარი, რომ საქართველოს ნატოში ამ ტერიტორიების გარეშე მიიღებენ. ეს იმიტომ კეთდება, რომ საქართველომ არასდროს აღარ გამოთქვას პრეტენზიები აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე. გამოდის, რომ ნატო ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს ჩვენგან. რესპუბლიკელები კი ამას უჭერენ მხარს. ისინი ამ ტერიტორიებს ისედაც არ განიხილავენ საქართველოს ნაწილად. ამ ხალხის ჭკუაზე სიარული „ქართულ ოცნებას“ ძალიან დააზარალებს და მათ უკვე განიცადეს დიდი დანაკარგი.

***— დიდ დანაკარგში რას გულისხმობთ?***

— ირაკლი ღარიბაშვილი დღეს აღარ არის ამ გუნდში. ეს ახალგაზრდა კაცი ქართულ, ეროვნულ ფესვებზე იდგა და მოსახლეობაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ეს ახალგაზრდა ამერიკის მოთხოვნით წავიდა თანამდებობიდან. ახლა თამაზ მეჭიაურის გაშვებას ითხოვენ.

ამით რა გამოდის, რომ ვინც ეროვნული მიმართულებით აზროვნებს და კბილების გამოჩენას ბედავს, ამერიკა ყველას გაშვებას ითხოვს. მაინტერესებს, როდემდე უნდა ვიაროთ ვაშინგტონის ჭკუაზე. სადამდე უნდა გვმართავდეს ვიღაც უწიგნური ელჩი. დაგვიჯდა აქ პარტკომივით და ყველაფერში ყოფს ცხვირს.

დამოუკიდებელი ქვეყანა თუ გვქვია, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და დამოუკიდებლად მივიღოთ გადაწყვეტილებები. თუ გადაგვარება გვინდა, მაშინ ვიაროთ პარტკომ იან კელის ჭკუაზე.

***— რაღაც პერიოდის განმავლობაში რესპუბლიკური პარტია გაჩერებული იყო. ბოლო პერიოდში ძალიან გამოცოცხლდნენ. ამ დღეებში პრეზიდენტსა და ალასანიას გუნდსაც დაუპირისპირდნენ. არის ასეთი მოსაზრება, რომ ამით ბიძინა ივანიშვილის გულის მოგება და კოალიციაში დარჩენა უნდათ. თქვენ როგორ გგონიათ, მიაღწევენ მიზანს?***

— იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება. თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებზე კვლავ რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად გამოვა, ბევრს დაკარგავს. ასეთ შემთხვევაში ისინი ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტსაც კი ვერ მიიღებენ. ეს მიზანი თუ აქვთ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ ხალხი არავის ხათრით აღარ მისცემს მაგათ ხმას.

***— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ არც 2012 წლის არჩევნებზე აპირებდა ივანიშვილი რესპუბლიკელების კოალიციაში შეყვანას, მაგრამ ამერიკელებმა მოსთხოვეს. ახლაც რომ მოსთხოვონ?***

— ახლა სხვანაირი სიტუაციაა. 2012 წელს სიკვდილ-სიცოცხლის საქმე იყო, მაშინ ნაციონალები უნდა გაესტუმრებინათ. ივანიშვილი ამერიკელებს უნდა დათანხმებულიყო. სწორედ ამერიკის ჩარევით გადარჩა ის ცოცხალი. ახლა სულ სხვა ვითარებაა და ივანიშვილს ვეღარავინ დააძალებს რესპუბლიკელების სიაში შეყვანას.

ამერიკა და მისი დაქირავებული აგენტები — აირაი და ენდიაი — ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს გამყიდველები „ოცნებას“ მიაწებონ. იმედი მაქვს, ივანიშვილი ამას არ დაუშვებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საარჩევნო სიები ამერიკის ელჩთან თანხმდება, შესაძლოა, რესპუბლიკელების მსგავსი ანტიეროვნული პირები კიდევ ვიხილოთ „ქართულ ოცნებაში“.

***— ყველა პარტია იან კელის უთანხმდება?***

— მადლობა ღმერთს, ყველა პარტია არ ემორჩილება ამ პარტკომს. პარტიები, რომლებიც საარჩევნო სიას იან კელის არ შეუთანხმებენ, მისი ბრძანებით პარლამენტის მიღმა დარჩებიან. ასეთი რამე ადრეც მომხდარა და მომავალშიც გაგრძელდება. ამის შეჩერება მხოლოდ ხალხს შეუძლია.

ჩვენი საზოგადოება ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიხვდეს, რომ უცხო ქვეყნების პოლიტიკის გატარება საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ჩვენ არც რუსეთმა უნდა გვმართოს და არც — ამერიკამ. ამიტომაც ისეთი ძალები უნდა ავირჩიოთ, რომლებიც ეროვნულად აზროვნებენ.

რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და იმავეს გაკეთებას ცდილობს ამერიკა. მას საქართველო სჭირდება მხოლოდ, როგორც გეოგრაფიული მდებარეობა. რუსეთთან



დასაპირისპირებლად მშვენიერი ადგილი შეარჩია. თავის მოსახლეობას პრობლემებს არ შეუქმნის, ევროპელები ამას არ გააბედვინებენ, ჩვენ კი ყველაფრის უფლებას ვაძლევთ. საქართველო მალე ორი სახელმწიფოს დაპირისპირების ობიექტი გახდება.

ატეხეს ერთი ამბავი, არიქა, ამერიკელი სამხედროები ჩამოვიდნენ საქართველოშიო. ის დანჯღრეული ტანკებიც როგორ უხარიათ. რუსეთს ამ დროს ჩვენკენ რაკეტები აქვს მომართული. რამე რომ მოხდეს, 100 ამერიკელი ჯარისკაცი გვიშველის თუ ხიდაშელ-ბერძენიშვილები? ერთმანეთს გაასწრებენ აქედან.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ვარშავის სამიტზე ველოდებით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის აღიარებას“



— ვარშავის სამიტზე ველოდებით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის აღიარებას სამომავლოდ ვგეგმავთ, მეტი ყურადღება დავუთმოთ ქართული ჯარის მიერ მოწინააღმდეგის შეკავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების წვრთნების, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლონდონში, ანალიტიკურ ცენტრ Chatham House-ში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერმა თავის გამოსვლაში ნატო-ს ვარშავის სამიტზე და საქართველოს მოლოდინებზე ისაუბრა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— ჩვენ ველოდებით საქართველოს მიერ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის აღიარებას. მსურს ვუთხრა ნებისმიერს, ვინც საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით სპეკულირებს — კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ესაა საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნება, რაც რამდენჯერმე დადასტურდა გამოკითხვებისა და რეფერენდუმის მეშვეობით.

საქართველოს მთავრობა საზოგადოების, ჩვენი ამომრჩევლების ნებას ასრულებს. საქართველოს მიზანია ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, ხოლო საბოლოო ამოცანაა ევროკავშირში და თავისთავად, ნატოში გაწევრიანება.

საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის კუთხით ამ მიზნების ალტერნატივა არ გააჩნია. განვითარება დამოკიდებულია რეგიონულ სტაბილურობასა და მშვიდობაზე. საქართველო მონაწილეობს ნატოს „მკიცე მხარდაჭერის მისიაში“ ავღანეთში. საქართველო ამ მისიის მეორე უდიდესი კონტრიბუტორი ქვეყანაა — ჩვენი ჯარისკაცების რაოდენობა ავღანეთში აღემატება 900-ს. ავღანეთის მისიაში მონაწილეობის შედეგად დაიღუპა 32 ქართველი ჯარისკაცი.

მიმაჩნია, რომ ეს საკმაოდ დიდი მსხვერპლია ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 3,7 მილიონია. ჩვენ თანმიმდევრულები ვართ ავღანეთის, ცენტრალური აფრიკისა და მალის მისიებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი თავსებადობა ნატო-ს ჯარებთან.

მისივე თქმით, 2 დღის წინ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ძალისხმევის შედეგად, ერთობლივი სამხედრო წვრთნების, „ღირსეული პარტნიორის“ ახალი პროექტი დაიწყო, რომელიც კონცენტრირდება ქართველი სამხედროების ნატო-ს ჯარებთან თავსებადობისა და საექსპედიციო შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.

**ინტერპრესნიუსი**

# არჩილ გამზარდია: „მექიაურის ადგილი „ქართულ ოცნებაში“ არ არის!“

## „პაატა ბურჭულაძეს იგივე ტექსტები აქვს, როგორიც ნაცმოძრაობას“

ნონა ცაბაძე

**ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი არჩილ გამზარდია აფასებს.**

***— არჩილ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ქართულ პოლიტიკაში პროცესებიც საინტერესოდ ვითარდება. მრავალრიცხოვან პოლიტიკურ პარტიებს, პაატა ბურჭულაძის ახალი პოლიტიკური პარტიაც შეემატა. რას შეცვლის საკმაოდ რეიტინგული მოთამაშის შემოსვლა ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე?***

— მე არ ვიცი, საიდან დადგინდა, რა პირობებით მისი რეიტინგი, თუმცა პირადად მე ყოველთვის პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს ახალ მოთამაშესთან, ვინც გინდა იყოს, თუ ის არ არის აპრიორი მტრულად განწყობილი ქვეყნის ან სრულიად მიუღებელი ფიგურა. პაატა ბურჭულაძე ამ მხრივ სულაც არ არის მიუღებელი პირი. მე დღეს ვერ ვიტყვი, მას რა რეიტინგი აქვს, რადგან მისი რეიტინგი დღემდე იყო როგორც მომღერლის. პოლიტიკოსისა და მომღერლის რეიტინგი კი ყოველთვის იდენტური არ არის.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ეს რეიტინგი შეიცვლება?***

— ზოგადად პოლიტიკაში შესვლა ამ რისკებს აძლიერებს, თანაც მას თავის დროზე ჰქონდა საპატრიარქოს გვერდით დგომის იმედი, რასაც საპატრიარქო თავიდანვე გაემიჯნა. მას საკმაოდ რთული სამუშაო ველი ხვდება, მით უმეტეს, რომ ის დაზღვეული არ არის შეცდომებისგან და უშვებს კიდეც ამ შეცდომებს, თუმცა ცუდი ფაქტი ნამდვილად არ არის, რომ ჩნდებიან ახალი სახეები.

კარგია ისიც, რომ საზოგადოების ინტერესი გადადის ამ ახალ სახეებზე. წლების განმავლობაში ჩვენ ვუყურებდით ერთსა და იმავე სახეებს, რომლებმაც ვერ მიაღწიეს წარმატებას. ამიტომ პოლიტიკურ ბაზარზე ახალი სახის შემოსვლა, თავისთავად, დადებითი მოვლენაა.

***— საკმაოდ კრიტიკული განცხადებებით შემოაბიჯა პოლიტიკურ არენაზე. როგორ ფიქრობთ, ის მოირგებს მწვავე ოპოზიციონერის როლს?***

— მე ვფიქრობ, რომ პაატა ბურჭულაძემ უკვე ბევრი შეცდომა დაუშვა.

***— რა კუთხით?***

— სწორედ ოპოზიციონერობის კუთხით. იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური იერი არ ჩანს, ჩანს ისევ პაატა ბურჭულაძის ძველი ბეგრაუნდი და არა — მისი პოლიტიკური სახე. ამომრჩეველს სწორედ ამიტომ აღარ მოსწონს ეს ძველი ოპოზიციონერები, რომ მუდმივად ეს მწვავე და აგრესიული რიტორიკის მქონე პოლიტიკოსები ინტერესს აღარ იწვევენ.



***— ოპოზიცია რისი ოპოზიციაა, თუ კრიტიკული არ იქნება?***

— ბუნებრივია, ოპოზიცია კრიტიკული უნდა იყოს ხელისუფლების მიმართ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა ადამიანებს აინტერესებს ის ლიდერები, რომლებიც უფრო რაციონალურები იქნებიან.

***— თქვენ კონსტრუქციულ ოპოზიციაზე საუბრობთ?***

— მე ვგულისხმობ არა ზოგადად კონსტრუქციულ ოპოზიციას, არამედ ისეთ ოპოზიციას, რომელშიც ჩვენ დავინახავთ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ ყველაფრის განვითარება და უფრო უკეთესის შემოთავაზება. მე პაატა ბურჭულაძის მიმართ დროდადრო გამოვხატავდი ჩემს დამოკიდებულებას. ის, რომ ხალხმა მოითხოვა და იმიტომ ხდება ფონდი პარტია, ასეთი მიდგომები ყალბია.

***— ყველა ხვდებოდა, რომ პოლიტიკაში წავიდოდა?***

— დიახ, ჩვენ მაშინვე აღვიქვით ის, როგორც პოლიტიკოსობის მსურველი. რაც შეეხება ფონდს, ეს იყო გარდამავალი ეტაპი, იმ მხრივ, რომ მას პირდაპირ დაჯახება არ მოსვლოდა კონკურენტებთან. ახლა მოძლიერდა, ინსტიტუციურად განვითარდა და ახლა შედის ამ ბაზარზე. თუმცა ახალი სახე უნდა იყოს უნიკალური. მისი განცხადებები კი არ არის უნიკალური. უნდა ჰქონდეს განსხვავებული შეფასებები, განსხვავებულად უნდა აზროვნებდეს. ჩვენ ხომ სწორედ ეს სიახლე გვჭირდება. შემოდის პერსონაჟი, რომელიც ამბობს, რომ ახალი სახეა და ლაპარაკობს ზუსტად იმავე ტექსტებით და შეფასების იგივე პრინციპები აქვს, როგორიც სხვებს.

***— მაგალითად?***

— თუნდაც ნაციონალურ მოძრაობასა და თავისუფალ დემოკრატებს. ბუნებრივია, ეს იდენტობა და მათთან გათანაბრების პერსპექტივა ბურჭულაძისთვის იყოს კარგი ამოსავალი წერტილი.

***— როდესაც მის შეცდომებზე საუბრობთ, ამას გულისხმობთ?***

— დიახ, ის ამ მხრივ ბევრ შეცდომას უშვებს, აგრესიული მოწინააღმდეგის მხარეს იჭერს. მას გამოხატვის უფრო კონსტრუქციული და ინტელექტნაზავი მესიჯები ახასიათებს, ეს დადებითი მხარეა, თუმცა აქცენტი, საზომი და დისკურსი ზუსტად იდენტურია. ეს, არა მგონია, რომ ხელს აძლევდეს განვითარებაში.

***— უკვე დიდი ხანია ისმის შეფასებები, რომ პაატა ბურჭულაძე ნაცმოძრაობის მიერ ლობირებული, მათ მიერ შემოყვანილია პოლიტიკურ ბაზარზე, რომ ბურჭულაძე ბანს მისცემს სააკაშვილს. რამდენად იზიარებთ ამ შეფასებას, რომ ის სხვისი დაკვეთით შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში და რომ ეს არ იყო მისი პირადი ინტერესი?***

— არ მინდა, რომ ახალ სახეს, სანამ მას ჯერ კიდევ გამოსათქმელი აქვს რაღაცა, პოლიტიკური სექტორი დახვდეს ასე აგრესიულად და განსაკუთრებით — სახელისუფლებო ძალა. მე რასაც ვხედავ ახლა, არის ის, რომ მისი პოზიციები და შეტყობინებები ძალიან წააგავს ყოფილი ხელისუფლების შეტყობინებებს. თუმცა ნამდვილად არ გამოვრიცხავ იმას, რომ ბურჭულაძეს გულწრფელი სურვილი ჰქონდეს, გარკვეულ პროცესებში თავისი თანამონაწილეობა დაინახოს.

მე მის მიმართ მაქვს გულშემატკივრული პოზიცია. სავსებით შესაძლებელია, რომ ბურჭულაძე გულწრფელად მოქმედებდეს და ის შეცდომები გამოუცდელობით მოსდიოდეს. მან ძალიან უნდა იფრთხილოს, რომ ნაციონალების იმიჯი არ მიიღოს, თორემ მერე ძალიან გაუჭირდება ამ იმიჯისგან თავის დაღწევა.



***— სახელისუფლებო გუნდში მიმდინარე პროცესებზე რას იტყოდით? გვესმის შეფასებები, რომ „ოცნებაში“ ნამდვილად არ არის სახარბიელო სიტუაცია. თამაზ მექიაურის პარტიიდან გარიცხვის საკითხი დგას დღის წესრიგშიო. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერზე?***

— პირადად მე, როგორც ერთი რიგითი ამომრჩეველი, როგორც მექიაურის, ისე სხვა ბევრის ადგილს ვერ ვხედავ „ქართული ოცნების“ რიგებში! მექიაურს, როგორც ჩანს, მხოლოდ ახალ პარლამენტში მოხვედრის ინტერესი ამოძრავებს და, თუ ასე არ იქნება, მაშინ ურჩევნია, პარტიაში არ იყოს.

მე მივესალმები, რომ ასეთი სახეები აღარ იყვნენ მომავალ პარლამენტში. საერთოდაც, თუკი ამჟამინდელი წარმომადგენლობის 90% არ მოხვდება მომავალ პარლამენტში, ბევრად უფრო პროგრესულ ნაბიჯად მივიჩნევ. გარედან ჩანს, რომ გარკვეული დალაგების პროცესი მიმდინარეობს. დიდი სურვილი მაქვს, უფრო

კვალიფიციური და ეფექტური საპარლამენტო სია მივიღოთ. ეს სავსებით ნორმალურია. დიახ, მექიაურის ადგილი მე არ მგონია საქართველოს პარლამენტში!

# „მარგველაშვილი გაღიზიანებული, ჭირჭყინა ბავშვივით იქცევა“

## სოფიო ხორგუანი: „ოცნებას“ 14 მაისს სია არ ექნება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სოფიო ხორგუანი პასუხობს.**

***— პრეზიდენტის და პრემიერის ერთობლივი გადაწყვეტილებით წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისიდან დაიწყება. რამდენად ჯანსაღ პროცესებს ელოდებით წინასაარჩევნოდ?***

— დიახ, 8 ივნისიდან ჩაირთვება წამმზომი. საარჩევნო მარათონი იწყება. მე არ მომწონს, რომ 8 ივნისს იწყება წინასაარჩევნო კამპანია. ძალიან ადრეა ეს ყველაფერი. ვერ გავიგე, ეს რა სპორტია. რატომ გადაწყვიტეს, ასე ადრე რომ დაწყებულიყო. ეს ბიუჯეტსაც აწვება.

***— თქვენ მომხრე იყავით, რომ 8 აგვისტოს დაწყებულიყო?***

— რასაკვირველია. ჩვეულებრივ, როგორც ეს კონსტიტუციაში გვიწერია, როგორც წესი და რიგია. მე ასე მიმაჩნია და ეს არის სწორი და ეს არის ჯანმრთელი პროცესი. თორემ პოლიტიკოსებზე თუ ვლაპარაკობთ, პოლიტიკოსი მომავალი არჩევნებისთვის მზადებას იწყებს არჩევნების დასრულების მეორე დღიდან! ხოლო ის, რაც აქამდე იყო, რომ იწყებოდა ორი თვით ადრე, ეს საკმარისი, ნორმალური და მისაღები იყო.

***— მაშინ რატომ წავიდა ამაზე ხელისუფლება?***

— არ ვიცი. პრეზიდენტი ბევრ უცნაურ გადაწყვეტილებას იღებს ხოლმე. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ლოგიკურ და პრაგმატულ ახსნას ვერ ვუძებნი. მთელი სახელმწიფო მოეწყო ისე, რომ რაღაცა სახე შეენარჩუნებინათ მისთვის. თითქოს პრობლემები ამ ქვეყანაში ცოტაა და რაში იხარჯება დრო და ენერგია! უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა პრეზიდენტის ინსტიტუტისგან ასეთ პრობლემებს ვაწყდებით, როცა ის ქარიშხალს ტეხს ჭიქაში. გაღიზიანებული, ჭირჭყინა ბავშვის პოზიციიდან, თითქოს ცდილობს, ასე დაიმკვიდროს თავისი ადგილი!

***— ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა მისი მხრიდან?***

— რატომ აირჩია ასეთი სტრატეგია პრეზიდენტმა, არ ვიცი. არც ის ვიცი, ვინ ურჩევს მას ასეთ რამეს. როცა აკრიტიკებ და ამბობ, რომ ეს არ მოგწონს, მე მეუბნებიან, რომ შენ პატივს არ სცემ პრეზიდენტის ინსტიტუტს. პრეზიდენტის ინსტიტუტს, პარლამენტს და ნებისმიერ ინსტიტუტს პატივს ვცემთ თუ არ ვცემთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქცევიან ისინი, როგორ წარმოადგენენ ამ ინსტიტუტებს.

***— ვის როგორი წინასაარჩევნო კამპანია ექნება? რა კონტურები იკვეთება?***

— ეს უკვე წინასწარ ჩანს. გადაჯგუფებები აუცილებლად იქნება. აუცილებლად იქნება საარჩევნო ბლოკები. შეიძლება რაღაც გადაადგილებებიც იყოს. იგივე „ქართულ ოცნებაშიც“ ვინც არიან, მათი მხრიდანაც ისმის კრიტიკული განცხადებები.

***— არმაზ ახვლედიანი ხმაურიანი განცხადებების ფონზე წავიდა, ელით კიდევ მსგავს ინციდენტებს?***

— პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ წინ ბევრი საინტერესო რამ გველოდება. მე ვერ ვიტყვი, რომ რაღაცა საგანგაშო ხდება. პირიქით, სწორედ ახლა გვაქვს შანსი, რომ დალაგდნენ ერთნაირი მსოფლმხედველების მქონე პარტიები.

თუ მოხდება ეს დაჯგუფებები, ეს იქნება უფრო ლოგიკური და ამ არჩევნებზე გვექნება ყველაზე ლოგიკური დაჯგუფებები. რაც კი საქართველოს ისტორიაში არჩევნები ჩატარებულა, ეს იქნება ყველაზე ლოგიკურად დალაგებული საარჩევნო სუბიექტებით ჩატარებული არჩევნები.

***— რატომ გგონიათ, რომ ასე იქნება?***

— რადგან არ გვაქვს რადიკალური არჩევნები. ყველა არჩევნებზე გვესმოდა, რომ გადარჩენა გვჭირდება, წკიპზე ვართ და ასე შემდეგ. ახლა ასეთი ტიპის არჩევნები არ გვაქვს. ჩანს ისიც, რომ ავტორიტარული მმართველობა არ გვაქვს. თვითონ პარტიაშიც კი ზედმეტი თავისუფლება აქვთ. ყველა საკუთარ პოზიციას აფიქსირებს. ეს არჩევნები იქნება უპრეცედენტო.

***— რა კუთხით?***

— იმით, რომ ასეთი თავისუფალი არჩევნები აქამდე არ გვქონია. ხელოვნურად შექმნილი დაჯგუფებები ნაკლებად იქნება.



***— „ოცნების“ ყრილობაზე თუ ელოდებით სიახლეს მათ საარჩევნო სიაში და რამდენად განაპირობებს მათ წარმატებას ეს სია?***

— სიაზე მუშაობა კვლავაც გაგრძელდება. მოვისმინე კიდეც განცხადებები გენმდივნის, რომ საბოლოო სია მაშინ იქნება მზად, როცა ცესკოში წარდგენის ვადა მოვა. ამ ეტაპზე სიის საბოლოო ვარიანტს ნამდვილად ვერ ვიხილავთ.

***— თუმცა ისიც ითქვა, რომ პირველი ათეული ცნობილი გახდება. ნაცმოძრაობაში დაპირისპირების საგნად იქცა საარჩევნო სია, იგივეს ხომ არ უნდა ველოდოთ „ოცნებაშიც“?***

— ნაციონალურ მოძრაობაში რაც ხდება, ეს არ არის ბრძოლა სიისთვის. ბევრს საუბრობდნენ იდეოლოგიურ ერთობაზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ იქ იდეოლოგიური ერთიანობა არ არის. ეს პარტია შექმნილი იყო იმისთვის, რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში. როგორც კი მან დაკარგა ძალაუფლება, ნელ-ნელა მას გამოეცალნენ თანაგუნდელები. აქ არ ყოფილა იდეოლოგიური ერთიანობა, ეს იყო მიხეილ სააკაშვილსა და ხელისუფლებაში ყოფნას მიბმული პარტია.

***— „ოცნებაზე“ რას იტყვით?***

— მათი სახეები განსხვავებულად საუბრობენ, განსხვავებული პოზიციები აქვთ ყველა მიმართულებით. რისთვისაც შეიქმნა „ქართული ოცნება“, მან ის მიზანი შეასრულა. ახლა სხვა მიზნებია, „ოცნების“ სია იქნება განსხვავებული. მათ სხვა ამოცანები აქვთ შესასრულებელი და სიაც სწორედ ამაზე იქნება ორიენტირებული.

***— დანარჩენი პარტიები რას გააკეთებენ?***

— ისინი ახალს არაფერს გვთავაზობენ. ძალიან სამწუხაროა, რომ მხოლოდ აგრესია მოდის მათი მხრიდან. არანაირი კონსტრუქციულობა არ აქვთ. სამწუხაროდ, ჩვენ გამოცდილებაც ცუდი გვაქვს კონსტრუქციული ოპოზიციის. თუ ქრისტიან-დემოკრატებს გავიხსენებთ, ის იყო პირდაპირ სატელიტი პარტია. არადა კონსტრუქციული ოპოზიცია ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება. დღეს ყველა ოპოზიციურ პარტიას სწორება აქვს პიროვნულ შეურაცხყოფებზე და ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილზე.

***— რესპუბლიკურმა პარტიამაც უმატა ხელისუფლების კრიტიკას. რა უნდათ? რა ნიშის დაკავებას ცდილობენ?***

— ძალიან საინტერესო კითხვა დასვით, ლოგიკურადაც რომ გავაგრძელოთ, შესაძლოა, რესპუბლიკურმა პარტიამ შეძლოს ამ ნიშის დაკავება, რასაც კონსტრუქციული ოპოზიცია ჰქვია, თუკი ისინი შეძლებენ და მოხვდებიან პარლამენტში. მათ ეს შანსი აქვთ და ეს იქნება ძალიან კარგი.

***— „ოცნებას“ აქვს შანსი, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს?***

— არა, „ოცნებას“ ამის შანსი არ ექნება. ნამდვილად არ მგონია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აიღოს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დემურ გიორხელიძე: „ლარის დღევანდელი კურსი არ შეესაბამება რეალობას“



## „ქართული ბანკები ჭარბი რესურსით საკუთარ არაპროფილურ ბიზნესებს აფინანსებენ“

### ინტერვიუ ეკონომისტ დემურ გიორხელიძესთან



***— როგორც ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადეთ, ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან ვიზიტისას დარწმუნდით იმაში, რომ ლარის კურსს ადგენს არა ვალუტაზე არსებული მოთხოვნა და მიწოდება, არამედ ორი-სამი ქართული ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციები. რას გულისხმობთ?***

— ეს ძალიან მარტივად ხდება: დღეს ვაჭრობა ბლუმბერგზე მიმდინარეობს და რამდენი ოპერაციაც განხორციელდება, თითოეული კურსი შეიკრიბება და გაიყოფა რაოდენობაზე. ანუ გამოდის საშუალო არითმეტიკული. ამ დროს კი ეროვნულმა ბანკმა რეალურად არ იცის, როგორია ვალუტაზე მოთხოვნა. მან არ იცის არც ბანკებისგან წინასწარ ამის შესახებ და არც იმის შესახებ, როგორია მოთხოვნა გადამცვლელ პუნქტებში.

ამიტომ, როდესაც ლარის კურსის განსაზღვრაში ასეთი გამაოგნებელი დეფექტია, კურსი, ბუნებრივია, მოწყვეტილია ეკონომიკურ ფუნქციას და გადაქცეულია სპეკულაციის იარაღად, რადგან ორ-სამ ბანკს, რომლებიც ბლუმბერგზე ვაჭრობენ, შეუძლიათ შესანიშნავად გაითამაშონ აწევა-დაწევის თანმიმდევრობა და ამაზე სერიოზული თანხები აკეთონ.

***— ამ პრაქტიკის ნაცვლად, ლარის კურსის დადგენის რა მექანიზმი უნდა არსებობდეს?***

— სისტემა უნდა იყოს მარტივი: ჯერ ერთი, ქვეყანაში უნდა არსებობდეს მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც წლის ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში განსაზღვრავს ეროვნული ბანკისთვის პარამეტრებს – ფულის მოცულობის, მონეტიზაციის კოეფიციენტის თაობაზე და ა.შ. და ეს ყველაფერი დამორჩილებული უნდა იყოს მთავარ მიზანს – სწრაფ ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.

ლარის კურსი და ინფლაცია თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პარამეტრებს, ისინი დაქვემდებარებული პარამეტრები არიან და ეკონომიკური ზრდის კვალობაზე უნდა რეგულირდებოდეს ისე, რომ, მაგალითად, ინფლაციის მაჩვენებელი ზრდის მაჩვენებელზე მეტი არ იყოს. ფულის დეფიციტი არ იყოს ქვეყანაში და ა.შ.

როგორ შეიძლება ჩვენ დღეს ვლაპარაკობდეთ რაიმე სერიოზულ საკითხზე, როდესაც მონეტიზაციის კოეფიციენტი „ემ ორი“ აგრეგატის მიხედვით შეადგენს 20%-ს ანუ ეკონომიკას ემსახურება 5-ჯერ ნაკლები ფული, ვიდრე მისი მოცულობაა. ასეთი ტენდენცია მსოფლიოში არსად არაა – რამხელაცაა ეკონომიკა, იმდენი ფული უნდა ემსახურებოდეს მას. ამიტომაცაა მცირე და საშუალო, ანუ არალობირებული ბიზნესისთვის ფული ხელმიუწვდომელი და ამ ვითარებაში როგორ უნდა მოახერხოს ვილაცა ჯადოქარმა, რომ ეს ეკონომიკა გაიზარდოს?

ეკონომიკაში ფულის მასა უნდა იზრდებოდეს არა ხელოვნურად, არამედ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კვალობაზე, მაგრამ დღეს ქვეყანაში საწყისი ფულის პრობლემაა, ბანკები კი არანორმალურ მოთხოვნებს აყენებენ, თანაც ესაა ძალიან მახინჯი სისტემა.

საბანკო სისტემა რომ ჯანსაღი იყოს, არ იარსებებდა კერძო გამსესხებლების ინსტიტუტი და არც ონლაინ სესხების კომპანიები. ამიტომაა ჩვენი ეკონომიკა ძალიან სუსტი და მთავარია ის, რომ ეროვნული ბანკი და მთავრობა კარგ მაკროეკონომიკურ კომპლექსურ პოლიტიკას ვერ გვთავაზობენ.

***— თქვენ ახსენეთ ორი-სამი ბანკი. პრობლემა სისტემურია თუ ის უშუალოდ ამ ბანკებშია?***

— წესები რომ იყოს მკაცრად რეგლამენტირებული და ბანკს მხოლოდ აგენტის ფუნქცია ჰქონდეს, ჩვენ მშვიდად ვიქნებოდით და გვეცოდინებოდა, რომ ბანკი მოქმედებს საკუთარი კლიენტების დავალების შესაბამისად. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ეს ასეა თუ არა. ჩვენ არ ვიცით, როგორია ბანკებში დღევანდელი მოთხოვნა. ასეთი ინფორმაცია არ არის, რაც უდიდეს შეცდომად მიმაჩნია.

***— ასეთი სისტემა რა საფრთხეს უქმნის ლარის კურსს – თეორიულად არის თუ არა მასში რისკები, რომ ამ ორმა-სამმა ბანკმა მოახდინოს ისეთი მანიპულაციები, რაც ლარის კურსზე მკვეთრად აისახება?***

— ეს არა მარტო თეორიული, არამედ სრულიად პრაქტიკული საფრთხეა. ლარის კურსის გაუთავებელი თამაშები სწორედ ამ სპეკულაციური შეტევების შედეგი იყო, რომელსაც ეროვნული ბანკი უბრალოდ ვერ არეგულირებდა ან არ არეგულირებდა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ უბრალოდ არ არეგულირებდა.

ასეთ ვითარებაში ლარის კურსი დგინდება ხელოვნურად და დღევანდელი კურსი არ შეესაბამება რეალობას. ლარის კურსი იზოლირებულია და ზიანის მომტანია ქვეყნის უმთავრესი ამოცანის – სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის. მე მაქვს პრეტენზია ხელისუფლების არასწორ პოლიტიკასთან. ბანკებმა კი უბრალოდ ხელში ჩაიგდეს ეს მექანიზმი და 2015 წელს ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი მოიგეს იმ დროს, როდესაც ეკონომიკას სული ძვრება და განადგურების პირასაა მისული.

***— თავად ბანკების წარმომადგენლები ამ მოგებას საკუთარი პროფესიონალიზმით ხსნიან.***

— წარმატებული საქმიანობა წარუმატებელ ქვეყანაში, წარმატებული საქმიანობა 16 მილიარდიანი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში არის ზღაპარი. რომ არა ხელისუფლება, საქართველოს კომერციული ბანკები ვერანაირ საქმიანობას ამ გზით ვერ წარმართავდნენ.

დიდი პრობლემაა ის, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებში არ არის გამიჯნული საინვესტიციო საქმიანობა და კლასიკური საბანკო საქმიანობა. ეს კანონის ძალით უნდა გაიმიჯნოს და ბანკებმა, რომლებიც კლასიკურ საბანკო საქმიანობაზე იქნებიან ორიენტირებულნი, სესხების გაცემით იშოვონ ფული, ხოლო საინვესტიციო ბანკებმა, რაც სურთ, ის აკეთონ.

სწორედ ასეთი სიმახინჯე კანონმდებლობასა და პოლიტიკაში აძლევს ბანკებს ე.წ. წარმატებული საქმიანობის საშუალებას. ისინი სულაც არ არიან წარმატებულნი და საკმარისია, კონკურენტულ გარემოში მოექცნენ, რომ ჩვენი კომერციული ბანკების ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები დიდი კრახის წინაშე დადგებიან.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ ქართული საბანკო სისტემა მახინჯია და მცირე ბიზნესისთვის მისი რესურსები მიუწვდომელია. თუმცა, მეორე მხრივ, ბანკებს ჭარბი რესურსი აქვთ. ამის მიუხედავად, ისმის კრიტიკა ბანკების მიმართ, რომ ისინი ეკონომიკას არასათანადოდ აკრედიტებენ და ძირითადად ვაჭრობის დაფინანსებაზე არიან ორიენტირებულნი. გამოსავალს რაში ხედავთ?***

— სიმახინჯის ერთ-ერთი საფუძველია ის, რომ ბანკებს არაპროფილური აქტივების ფლობის უფლება ჰქონდათ წლების განმავლობაში. ისინი ფლობენ ბიზნესებს მედიცინაში, დაზღვევაში, მშენებლობაში, ტურიზმში, სარესტორნო ბიზნესში და ა.შ. და არ არიან დაინტერესებულნი კონკურენტების დაფინანსებით. ესაა არა მათი, არამედ ჩვენი ხელისუფლებების ბრალი, რომლებმაც ასეთი სიმახინჯე შექმნეს.

შესაბამისად, ამ ჭარბი რესურსით ისინი საკუთარ ფირმებს აფინანსებენ. მე ამას ყველაფერს ბანკებს არ ვაბრალებ – რა ბანკების ბრალია, რომ ქვეყანაში არც ერთი ალტერნატიული ფინანსური ინსტიტუტი არ არსებობს? არ არსებობს ინსტიტუციონალური ინვესტორები, ვენჩურული კომპანიები, საინვესტიციო ფონდები და ა.შ. კანონმდებლობამ ყველაფერი ბანკებზე „ჩამოკიდა.“

საბანკო სისტემის სიმახინჯის გამოვლენაა ბანკებში არსებული რიგები: გაღარიბებულ ქვეყანაში, სადაც 72%, რომელსაც ხელფასი არ გააჩნია, ბანკებშია ატუზული. ბანკებში რიგები წარმოუდგენელია და ეს მხოლოდ საქართველოში ხდება.

***— თქვენ არაპროფილური აქტივები ახსენეთ, თუმცა სებ-ის ყოფილი ხელმძღვანელობის პირობებში მათ ასეთი აქტივების ფლობა აეკრძალათ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ისინი აგრძელებენ ამ აქტივების ფლობას. რატომ არ აქვს ხელისუფლებას პოლიტიკური ნება, რომ ამ აკრძალვამ რეალურად იმუშაოს?***

— მე ძალიან მოურიდებლად ვაკრიტიკებ მთავრობის კონსულტაციებს ბიზნესთან, ეს არის კომკავშირული გადმონაშთი. ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა კარგად უნდა იცოდნენ, როგორ უნდა წარმართონ მაკროეკონომიკური პოლიტიკა იმისთვის, რომ ბიზნესი კარგად ვითარდებოდეს. ამისთვის ბიზნესთან ურთიერთობა არ არის საჭირო. ბიზნესი საერთოდ ჩამოცილებული უნდა იყოს სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიღებისგან.

***— იმის თქმა გსურთ, რომ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა მათი ხელისუფლებასთან დაახლოებული ურთიერთობის შედეგია?***

— ეს არის ხელისუფლებისა და პრივილეგირებული ბიზნესის შერწყმის შედეგი, რაც კარგს არაფერს უქადის არც დღევანდელ ხელისუფლებას და არც ზოგადად საქართველოს. ესაა ჩამოყალიბებული ოლიგარქიული სახელმწიფო, სადაც სიღარიბე დომინირებს, სამუშაო ადგილები არაა და ამ პოლიტიკით ვერც შეიქმნება.

არადა, 100 ათასობით სამუშაო ადგილია შესაქმნელი, რათა უმუშევრობა ცივილიზებულ დონემდე იქნას დაყვანილი. ჯერჯერობით ეს არ ხდება და ვერც მოხდება, რადგან არ არსებობს შესაბამისი პოლიტიკა.

**კომერსანტ.გე**

# რატომ არ დადიან ბელორუსი ტურისტები ბათუმში

„ისე ჩანდა, რომ 2016 წლის ზაფხულისათვის საქართველოს მთავარი შავი ზღვისპირა კურორტი – ბათუმი ბელორუსებისათვის მიმზიდველი იქნებოდა: კულუარებში იმაზეც კი საუბრობდნენ, რომ ბრესტის აეროპორტიდან ჩარტერული ავიარეისების შესრულება იქნება საჭიროო, მაგრამ სიტუაცია ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც წინასწარმეტყველებდნენ. რატომ არ მიდიან აჭარაში სამოგზაუროდ ბრესტელი და მინსკელი ტურისტები?“ – ასეთი შეკითხვაა დასმული გაზეთ „ვეჩერნიი ბრესტის“ საკვირაო გამოშვებაში გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი – ტატიანა შელამოვა).

„ბრესტზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჩვენმა ქალაქმა გასული წლის შემოდგომაზე პარტნიორობის შეთანხმება გააფორმა, აჭარაში ჩვენგან მთელი დელეგაცია გაემგზავრა – 12 მსხვილი ტურისტული კომპანიის წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც საქალაქო აღმასკომის სპორტისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი ხელმძღვანელობდა.

დელეგაცია წავიდა და დაბრუნდა, მაგრამ ბათუმში წამსვლელთა რაოდენობა მაინც არ გაზრდილა: იგივე ტურფირმების საიტებზე აჭარაში დასვენების მსურველები ვერ ვიპოვეთ. გამოდის, რომ არავის არ აუღია ჩარტერული ავიარეისების ორგანიზება საკუთარ თავზე – არათუ ბრესტიდან, არამედ მინსკიდანაც კი. როგორც დედაქალაქის პრესა წერდა, მინსკში ბოლო ხანს ჩატარებულ „ბათუმის დღეებში“ უფრო მეტად ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, ვიდრე ტურკომპანიებიო – მათგან ღონისძიებაზე სულ ექვსი წარმომადგენელი მივიდა.

რატომ არ დაინტერესდნენ ჩვენი ტურისტული ფირმები საქართველოთი? კაცმა რომ თქვას, ზოგადად, ბათუმში ერთკვირიანი დასვენება მაინცდამაინც ძვირი არ ღირს, სულ რაღაც 466 დოლარი (მგზავრობის გარდა). მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საქმე სულ სხვა მიზეზთან გვაქვს...

აქტიურად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ავიაკომპანია „ბელავიას“, რომელიც ავიამგზავრთა გადაყვანის მონოპოლისტია, არ სურს საქართველოს ქალაქებში და კერძოდ, ბათუმში ჩარტერული რეისების განხორციელება, ეკონომიკური მოსაზრების გამო: ერთი მხრივ, მას ბილეთზე მაღალი ფასის შენარჩუნება სურს, მეორე მხრივ კი, უცხოელ კონკურენტებს არ უშვებს, რომ როგორმე მგზავრობა გაიაფდეს. აქედან გამომდინარე, ავიაბილეთების მაღალი ფასი მასობრივ ტურისტულ ნაკადს გამორიცხავს, – ნათქვამია სტატიაში.



თუმცა მინსკის ზოგიერთი ტურკომპანიის ხელმძღვანელი ამ მიზეზებს არ ეთანხმება: „საქმე მთლად ასე არ არის, – ამბობს კომპანია თაიმ ვოიაჟ“-ის დირექტორი რუსლან სეგენიუკი, – ჩემი აზრით, პირველი მიზეზი უფრო ისაა, რომ საქართველოს ტურისტული დესტინაცია (ანუ პოპულარული ტურისტული ობიექტი) მხოლოდ ბოლო 5-6 წლის მანძილზე ვითარდება. საქართველოში პლაჟების რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე, ვთქვათ, ბულგარეთში და კიდევ უფრო ნაკლები, ვიდრე თურქეთში. საქართველოს [შავიზღვისპირეთში] ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ტერიტორიულადაც კი შეზღუდულია. კიდევ ერთი მომენტი: საქართველოში რამდენიმე ასეული სასტუმროა, თურქეთსა და ბულგარეთში კი – რამდენიმე ათასი, შესაბამისად, ქართულ სასტუმროებში ფასებიც მაღალია, განსხვავებულია მომსახურების დონეც. ანუ მასობრივი ტურიზმის ქვეყნებში ფასები უფრო დაბალია, ვიდრე სხვაგან“.

როგორც რუსლან სეგენიუკი მიიჩნევს, „ბელავიას“ რეისები ზაფხულში საქართველოს მიმართულებით საკმაოდ დატვირთულია, ანუ, პრინციპში, აქ ავიაკომპანიის რაიმე ბრალი არ ჩანს, ტურფირმებმა უფრო კარგად უნდა იმუშაონ. „ვფიქრობ, საქართველოს კარგი პერსპექტივა აქვს ბელარუსის ტურისტულ ბაზარზე. ქართული მიმართულება სრულიად არაჩვეულებრივი, ახალი მიმართულებაა, აქ ერთმანეთთან ძალიან კარგადაა შეზავებული უნიკალური ქართული სტუმართმოყვარეობა და გულკეთილობა, დიდსულოვნება, განუმეორებელი ბუნება, ეროვნული სამზარეულო, მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბელარუსებისათვის უვიზო რეჟიმი მოქმედებს. დიდ როლს ასრულებს მტკიცე ტრადიციაც, რომლებიც ქართველებსა და ბელარუსებს შორის ურთიერთობაში გამოიხატება, რაც მრავალი ათეული წლის მანძილზე ერთ სახელმწიფოში ცხოვრებითაა განპირობებული“.

**ნიუსპრესი**

## სპორტი

## ზლატან იბრაჰიმოვიჩი პსჟ–დან მიდის



პსჟ-ს შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გამოაცხადა, რომ მომავალ წელს პარიზულ გუნდში აღარ ითამაშებს.

ზლატანმა ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო. იბრაჰიმოვიჩი უკვე 34 წლის არის და მისი მომავალი გუნდი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იბრა კარიერას ლოს ანჯელეს გალაქსიში გააგრძელებს.

ზლატანი ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ჭორი სიმართლესთან ახლოს არის.

იბრაჰიმოვიჩმა თავისი კარიერის მანძილზე ბევრ სახელოვან გუნდში ითამაშა, ხოლო პსჟ-ში 2013 წელს მივიდა და პარიზულ გუნდთან ერთად ბევრი ტიტული მოიგო.

## ნეიმარი მალე ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს



ბარსელონას ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოს არის.

ბოლო პერიოდში ხშირად ვრცელდებოდა ჭორები იმის შესახებ, რომ ნეიმარი ბარსელონას დატოვებას აპირებდა, რადგან გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი ჰქონდა, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ ნეიმარის გადაბირებას ბარსელონას მოსისხლე მტერი რეალი ცდილობდა, თუმცა მადრიდელებს არაფერი გამოუვიდათ.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, ნეიმარის სატრანსფერო ფასი 220 მილიონი ევრო იქნება. აქამდე ეს თანხა 190 მილიონ ევროს შეადგენდა.

## დორტმუნდის ბორუსიამ ფრანგი ტალანტი იყიდა



დორტმუნდის ბორუსიამ ლივერპულს და კლოპს ფეხბურთელი ცხვირწინ ააცალა. საუბარია 18 წლის ფრანგ ტალანტ უსმან დემბელეზე, რომელიც რენის აღზრდილია. ლივერპული ახლოს იყო დემბელეს შეძენასთან, მაგრამ საბოლოოდ ახალგაზრდა ფრანგი ბორუსიას დარჩა.

შესაძლოა ეს ერთგვარი შურისძიებაც არის იმ მარცხის გამო, რომელიც დორტმუნდელებმა წელს ლივერპულთან განიცადეს.

დემბელემ ბორუსიასთან 5 წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დემბელეს თქმით, მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და ის სულმოუთქმელად ელის იმ მომენტს, როდესაც ბორუსიას შემადგენლობაში პირველ თამაშს ჩაატარებს.

## რობერტო მარტინესი ევერტონიდან გაუშვეს



ევერტონმა ესპანელი სპეციალისტი რობერტო მარტინესი დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლა. ამის მიზეზი ევერტონის მიერ ნაჩვენები შედეგებია, რომლებიც კლუბის ხელმძღვანელობას არ აკმაყოფილებს.

ევერტონი ამჟამად მე-12 პოზიციაზეა სატურნირო ცხრილში და ბოლო შეხვედრებში მარტინესის შეგირდები ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ.

რაც შეეხება მარტინესს, ის დიდი ხანია ინგლისში მოღვაწეობს და ევერტონამდე უიგანის მთავარი მწვრთნელი იყო. ევერტონს რობერტო სათავეში 2013 წელს ჩაუდგა, როდესაც მან დევიდ მოიესი შეცვალა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება ევერტონის ახალი მწვრთნელი.

მოამზადა
ბექა გოგინაშვილმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ქართული ოცნება“ ნაცებისთვის ხელისუფლების გადასაბარებლად ემზადება“

გულიკო ბალაძე



პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე ქვეყანაში არსებული გარკვეული ძალების რევოლუციური სცენარისთვის მზადებაზე საუბრობს.

– წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ სტარტს იღებს. დასავლეთი შეშფოთებულია საქართველოს დასავლური კურსის განუხრელობასთან დაკავშირებით და ცდილობს, ავტორიტეტული ინსტიტუტების, ენდიაისა და აირაის მეშვეობით მისთვის სასურველი შედეგი სარწმუნოდ აქციოს, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

***– რა აქვს დასავლეთს შესაშფოთებელი?***

– აშშ-ის კონგრესმენმა სტივ რასელმა ამერიკის კონგრესში განაცხადა, რომ შეშფოთებულია, საქართველო საგარეო პრიორიტეტებს ხომ არ ცვლის. მან მოუწოდა ამერიკის ხელისუფლებას, გადახედონ საქართველოს მიმართ პოლიტიკას და, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, იფიქრონ იმგვარ ჩარევაზე, როგორიც 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს მოხდა.

სტივ რასელის განცხადება მუქარად აღვიქვი. მან შეურაცხყო სუვერენული საქართველოს ინტერესები. მას არავინ ეკითხება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ქართველი საზოგადოება და რა კონკრეტული გადაწყვეტილებებით უნდა განვითარდეს ქვეყანა.

***– ხსენებული გამოკითხვებით რუსეთის მომხრეთა რიცხვი შემცირებულია. აქედან გამომდინარე, ამერიკელების შეშფოთებაც უსაფუძვლო არ ჩანს?***

– ეს არის არჩევნების წინ ხელოვნურად შექმნილი პროვოკაციული ფონი. როგორც ჩანს, ვიღაც განიხილავს რევოლუციურ სცენარს ქვეყანაში და ამ მიზნის მისაღწევად არ ერიდებიან სოციოლოგიური კვლევების გაყალბებასაც კი, როდესაც მოსახლეობის 50%-მდე ამომრჩეველი საარჩევნო პროცესის მიღმაა. მთელი რიგი მანიპულაციების გამოყენებით ისეთ სერიოზულ ოპოზიციურ ძალას, როგორიც დემოკრატიული მოძრაობაა, საერთოდ პროცენტს არ უწერენ. ეს არის გარკვეული ინსტიტუტების სასოწარკვეთილი ნაბიჯი.

***– კონკრეტულად ვის აწყობს რევოლუციური სცენარი?***

– იმ რევანშისტებს, რომლებიც ჯერ დასჯის მოლოდინში იყვნენ და ხმას არ იღებდნენ. შემდეგ კოაბიტაციის ფარგლებში ისეთი პირობები შეექმნათ, საზოგადოებას თავიანთ პირობებს უტიფრად კარნახობენ და ემუქრებიან.

ვგულისხმობ სააკაშვილის განცხადებას, რომ არჩევნების შემდეგ ის აუცილებლად დაბრუნდება. ძალიან სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა ნაცმოძრაობის რეანიმაციისთვის. ჩანს, დღეს ხელისუფლების გადასაცემადაც კი ემზადება.

***– „ოცნება“ ემზადება ნაცებისთვის ხელისუფლების გადასაცემად?***

– დიახ.

***– რა ეტყობათ?***

– „ოცნებაში“ მოკალათებული სააკაშვილის სულიერი ნათესავები უნდა გამოვიდნენ კოალიციის შემადგენლობიდან და, საბოლოო ჯამში, ქმნიან ერთ საერთო სურათს. აშკარა სამზადისია დაწყებული, ნეოლიბერალური ძალების ერთობამ შეადგინოს ახალი საპარლამენტო უმრავლესობა.

ამას მიუთითებს ენდიაისა და აირაის კვლევები, რევოლუციურ სცენარზე ხმამაღლა საუბარი ამერიკის კონგრესიდან და სააკაშვილის ბოლო დროს შეცვლილი რიტორიკა, რომელიც აშკარად რევანშისტული ხასიათისაა. ამას მიუთითებს ნაცმოძრაობასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ თავის დროზე არასაარჩევნო მიზნით დაფუძნებული ფონდების აქტიურობა, რომლებიც აანონსებენ ახალი პოლიტპარტიის შექმნასაც.

რეალურად იქნება მიხეილ სააკაშვილის ნაცმოძრაობა, პოლიტიკური ცენტრი გირჩი, საზოგადოებრივი მოძრაობა ივერია, გიორგი ვაშაძის ახლადშექმნილი პოლიტიკური მოძრაობა, პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდი.

***– პაატა ბურჭულაძეც მათ რიცხვშია?***

– დიახ. მათთან არიან რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატებიც. ეს ძალები მთლიანობაში წარმოადგენენ ახალ დასაყრდენს დასავლეთისთვის. მან ამ ძალებით უნდა შექმნას ჰიბრიდული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ჰიპოთეტურად განიხილავს ახალ საპარლამენტო უმრავლესობად და „ქართულ ოცნებას“ მათზე გადააცემინებენ ძალაუფლებას. ეს არის ის სცენარი, რომლის განხორციელებას ემსახურებოდა ენდიაისა და აირაის კვლევები.

***– მომავალი არჩევნების ყველაზე მეტად თავისუფლად და დემოკრატიულად ჩატარების მოლოდინი იყო, როცა ნებისმიერ ძალას შეეძლებოდა იმ მხარდაჭერის მიღება, რომელიც მას აქვს. ამასთან, ცოტა გასაკვირია მომავალში რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების ნაციონალებთან ერთად კოალიციაში ყოფნა.***

– რატომ არის გასაკვირი? ისინი არიან ევროპული ინტერნაციონალის ძალები. საერთაშორისო ევროპული ლიბერალური ინტერნაციონალი სწორედ ნაცმოძრაობას, რესპუბლიკურ პარტიასა და თავისუფალ დემოკრატებს აერთიანებს თავის სისტემაში. მათთან პარტნიორულ ურთიერთობაში იმყოფებიან. ეს მათ არ ავალდებულებს, რომ ეროვნულ დონეზე ითანამშრომლონ?

მათ ძალიან კარგად უწყიან საკუთარი რეპუტაციის შესახებ და ამომრჩევლის დამოკიდებულება. ამ შემთხვევაში საკითხი საერთაშორისო ჭრილში უნდა განვიხილოთ. მათ გააჩნიათ პარტნიორული ურთიერთობები ერთსა და იმავე პოლიტიკურ ცენტრთან. ეს არის ის მოცემულობა, რომელსაც ეს პარტიები ვერ გაექცევიან.

მეორე მხრივ, რა გაძლევთ არჩევნების დემოკრატიულად და თავისუფლად ჩატარების მოლოდინს, როცა საარჩევნო გარემო, საარჩევნო სისტემა არ შეცვლილა, საარჩევნო სიებში ამომრჩევლების რაოდენობა იმდენადაა გაზრდილი, რამდენიც შესაძლოა მოსახლეობაც არ იყოს საქართველოში.

ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ დაახლოებით 700 ათასი ხმით მოხდება მანიპულირება მომავალ არჩევნებზე. ამიტომ სწორედ არჩევნების გაყალბების გზა იძლევა შანსს, „ოცნებამ“ და მასთან ასოცირებულმა ძალებმა მოახდინონ წინასწარ დაწერილი სცენარით არჩევნების ჩატარება. დასავლეთმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სცენარის შემდგომში ლეგიტიმურობა.

***– არ ფიქრობთ, რომ ნაციონალების დაბრუნების შიშით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, „ოცნებას“ ხმა შეიძლება მაინც მისცენ, გაყალბებაზე საუბარი კი სწორედ ნაციონალურ მოძრაობას აწყობს იმ რევოლუციური სცენარისთვის?***

– არჩევნების გაყალბება ამ შემთხვევაში უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლების ცვლის ანტიდემოკრატიული რეჟიმის განხორციელებას, რასაც ითხოვს დასავლეთი „ოცნებისგან“. თუ დასავლური სქემის მიხედვით წარიმართება საარჩევნო პროცესები, მაშინ მოხდება არჩევნების ლეგიტიმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუცხადებენ უნდობლობას და საერთაშორისო ორგანიზაციები ასეთი არჩევნების შედეგებს არ ცნობენ. ამ კონტექსტში გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა საერთოდ არ განიხილება.

ეს საზოგადოებისთვის ძალიან სერიოზული გამოწვევაა. ჩვენს პოლიტიკურ ძალას გააჩნია სერიოზული მხარდაჭერა. ეს აუცილებლად გამოჩნდება არჩევნებზე. ოღონდ ამისთვის საჭიროა, მოსახლეობა ნიჰილიზმში არ იყოს და საარჩევნო ყუთებთან მივიდეს. ხელისუფლებასა და ნაცმოძრაობას სოციალურად გაუბედურებული ადამიანების იმედი აქვთ.

***– როგორ?***

– ბევრი ადამიანი არჩევნებზე არ მივა. ისინი მოიყვანენ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ რესურსს, მეორე მხრივ, ნაცმოძრაობასთან წლების განმავლობაში დაახლოებულ აქტივს, რომლებსაც დღემდე უხდიან თანხებს. „ოცნებასაც“ და ნაცებსაც დღემდე რჩებათ უზარმაზარი კაპიტალი. თუკი ჩვეულებრივი მოქალაქეები არჩევნებზე არ მივლენ, ხელისუფლება და ნაცმოძრაობა ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსებით მოიყვანენ თავიანთ ამომრჩეველს.

***– თქვენც მოიყვანეთ თქვენი მხარდამჭერები (ვგულისხმობ არა ავტობუსის გაგზავნას) და ყველამ დაიცვას თავისი ხმები. მაშინ ვერანაირი ჰიბრიდული ძალა ხელისუფლებაში ვერ მოვა.***

– გეთანხმებით.

***– თუ პარტიას თავისი მომხრეების მოყვანა და ხმების დაცვა არ შეუძლია, ხელისუფლებაშიც არ ივარგებს.***

– ამ შემთხვევაში ამომრჩევლის მოყვანაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ვიგულისხმე, როცა ისინი იძულებული ხდებიან, მონაწილეობა მიიღონ და ოჯახის წევრებთან ერთად შემოხაზონ სახელისუფლებო პარტია. იგივე მოხდება ნაცმოძრაობის ფლანგზეც. „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებაა. დიამეტრულად განსხვავებული ძალები ქმნიან კოალიციას.

***– კოალიცია ხომ დაიშალა.***

– როგორ დაიშალა, როდესაც მტრული განწყობის ბანაკში მოაზრებული რესპუბლიკური პარტიის ლიდერები აღმასრულებელ ხელისუფლებაში მინისტრებად რჩებიან.

***– ეგ დროებითია.***

– როგორი დროებითიც უნდა იყოს, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს მათი თანამდებობებზე დარჩენა ყოვლად წარმოუდგენელია ნორმალური პოლიტიკური პროცესისთვის.

***– წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში, ალბათ, გადადგებიან.***

– ამიტომ ვამბობ, რომ „ოცნება“ ხელისუფლების გადაბარებისთვის ემზადება. როდესაც შენ თავდაცვის მინისტრს, სახელმწიფო მინისტრს, გარემოს დაცვის მინისტრს ტოვებ, ამ სამინისტროსა და მის უწყებებში დასაქმებული ადამიანებისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობით, ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ხელისუფლების გადაცემის საპროცესო მოქმედების დაწყებას.

ნორმალურ ქვეყანაში ეს მინისტრები უნდა იყვნენ გადამდგარი. ამაზე მხოლოდ ბატონი თამაზ მეჭიაური და ბატონი გოგი თოფაძე არ უნდა აკეთებდნენ განცხადებას. ამ ადამიანებს თავად საკუთარ გუნდში აქვთ პრობლემა, ამიტომ ეს ვერც სტაბილურობის გარანტია იქნება.

# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორონი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.


## პუტინმა სამხედრო მანქანის კარი ვერ გააღო



ვლადიმერ პუტინმა გენერალ შევჩენკოსთან ერთად ახალი სამხედრო მანქანა „პატრიოტი“ დაათვალიერა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს „პატრიოტი“ იმდენად მიეწონა, რომ მიუახლოვდა და კარის გაღება ცადა. პრეზიდენტის ყველა მცდელობა ამაო გამოდგა.

მაშინ პუტინს გენერალი შევჩენკო მიეშველა.

შევჩენკომ სახელური თავისკენ ისე ძლიერად მოსწია, რომ ის მას ხელში შერჩა. გარშემო სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პუტინი გენერალს მიუბრუნდა:

— ყოჩაღ! — წარმოთქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

შეცბუნებული შევჩენკო კვლავ შეეცადა, კარი გაეღო. მანქანის საქარე მინა ჩამოწეული იყო. შევჩენკომ შიგ ხელი შეყო და კარის გაღება უკვე შიგნიდან ცადა, მაგრამ ამაოდ.

ვერც პუტინმა, ვერც შევჩენკომ „პატრიოტის“ კარის გაღება ვერ შეძლეს.

## უმაროვი გაათავისუფლეს



რუსეთის ფსბ-მ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილე უმაროვის წინააღმდეგ. მას ბრალად ექსტრემიზმი და რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აქციების ორგანიზება დასდეს.

უმაროვის დაპატიმრება მკაცრად დაგმო ევროკავშირმა. დასავლეთმა რუსეთის აქციები შეაფასა, როგორც ყირიმიდან თათრების გაძევების მცდელობა.

რუსეთი იძულებული გახდა, უმაროვი გაეთავისუფლებინა, თუმცა მას ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

## ლიკვიდირებულია ჰესბოლას ერთ-ერთი ლიდერი



ისრაელმა განახორციელა სამხედრო დარტყმა ტერორისტულ ორგანიზაცია ჰესბოლას პოზიციებზე სირიაში. შედეგად ლიკვიდირებულია ჰესბოლას სამხედრო ფრთის ლიდერი მუსტაფა ბედრელდინი.

ის ჰესბოლას სამხედრო ოპერაციებში 1992 წლიდან მონაწილეობდა.

ბედრელდინს როგორც საუდის არაბეთში, ისე სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი სიკვდილი.

ისლამური სახელმწიფოები არაერთგზის აკრიტიკებდნენ ირანს ჰესბოლასა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერისათვის.

## რუსულმა უპილოტოებმა პოლონეთის საჰაერო სივრცე დაარღვიეს



პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მაჩერევიჩმა განაცხადა, რომ რუსული უპილოტო თვითმფრინავები პოლონეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ.

— რუსეთი, ფაქტობრივად, კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობს, — ამბობს პოლონელი მინისტრი.

## იური ლუცენკო უკრაინის გენპროკურორად დაინიშნა



პეტრო პოროშენკომ ბოლოს და ბოლოს, მიაღწია თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის იური ლუცენკოს გენპროკურორად დანიშვნას.

უკრაინის პარლამენტმა მეორე ცდაზე ამას მხარი დაუჭირა. ამრიგად, გროისმანის შემდეგ ლუცენკო მისი მეორე ახლო მეგობარია, რომელსაც საპასუხისმგებლო პოსტი ერგო.

ჟურნალისტებთან ინტერვიუში ლუცენკომ განაცხადა, რომ მაიდანის იდეალების ერთგული იქნება და გენპროკურატურის რეფორმირების საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

მიუხედავად ამისა, ბევრი წამყვანი უკრაინელი პოლიტიკოსი მის დანიშვნას სკეპტიკურად უყურებს. ისინი თვლიან, რომ ლუცენკო არა რეფორმის, არამედ პრეზიდენტ პოროშენკოს ხაზის გამტარებელი იქნება.

## ბელარუსს რუსული გაზი უფრო იაფად უნდა




ბელარუსის პრემიერმა კობიაკოვმა მკაცრად გააკრიტიკა გაზპრომის განცხადება, ბელარუსებს ჩვენი 125 მილიონი დოლარის ვალი დაუგროვდათო.

— არავითარი ვალი არა გვაქვს, — აცხადებს კობიაკოვი.

მისი აზრით, ფასი, რასაც ბელარუსი რუსული გაზის სანაცვლოდ იხდის, უსამართლოა.

— მისი რეალური ღირებულება წარმოადგენს 80 დოლარს 1.000 კუბმეტრისთვის, — თქვა კობიაკოვმა.

ბელარუსის ენერგეტიკის მინისტრი პოტუპჩიკი უფრო შორს წავიდა.

— რუსული გაზის რეალური ფასი წარმოადგენს 75 დოლარს 1.000 კუბმეტრისთვის, — განაცხადა მან.

დისკუსიები რუსეთ-ბელარუსს შორის გაზის ფასის თაობაზე გრძელდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

საბუთები აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღება 2016 წლის 17 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, $12^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, I სართული, ოთახი № 22).

ინფორმაცია საკონკურსო აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების, კონკურსის პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ განთავსებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე — www.tsmu.edu



## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ევროპაში ბოლო ტურებია

## სტატისტიკა, ფსონები



ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებში ამ უქმეებზე ბოლო ტურებია. ჩემპიონი თითქმის ყველგან გადაწყვეტილია, მხოლოდ ესპანეთში დარჩა გასარკვევი და იქაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ ბარსელონამ ვერ იჩემპიონოს. ძირითადი ბრძოლები ამ უქმეებზე ევროსაგზურებისთვის და ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად გაიმართება.

### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | სუონსი-სიტი | 6.0 | 4.5 | 1.5 |
| 15.05 | მანჩესტერი-ბორნმუთი | 1.36 | 4.75 | 8.5 |
| 15.05 | სტოკი-ვესტ ჰემი | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 15.05 | საუთჰემპტონი-კრ.პალასი | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 15.05 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 4.0 | 3.75 | 1.85 |
| 15.05 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.8 | 3.75 | 4.0 |
| 15.05 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 15.05 | უოტფორდი-სანდერლენდი | 2.0 | 3.6 | 3.5 |
| 15.05 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.17 | 7.0 | 17.0 |
| 15.05 | ჩელსი-ლესტერი | 2.3 | 3.6 | 2.9 |

**სუონსი-სიტი**

სუონსი: **ტრავმ-**გილფი სიგურდსონი, ნეილ ტეილორი, ალბერტო პალოსკი

სიტი: **ტრავმ-**ალექსანდარ კოლაროვი, ვინსენტ კომპანი, პაბლო ზაბალეტა, დავიდ სილვა

**მანჩესტერი-ბორნმუთი**

მანჩესტერი: **ტრავმ-**მატეო დარმიანი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ლუკ შოუ; **დისკვ-**მარუან ფელაინი

ბორნმუთი: **ტრავმ-**სილვიან დისტინი, ტოკელო რანტიე, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

**სტოკი-ვესტ ჰემი**

სტოკი: **ტრავმ-**იბრაჰიმ აფელაი, ჯეკ ბუტლანდი, მარკ უილსონი

ვესტ ჰემი: **ტრავმ-**არავინ

**საუთჰემპტონი-კრ.პალასი**

საუთჰემპტონი: **ტრავმ-**ჟორდი კლასიე

კრ.პალასი: **ტრავმ-**იოან კაბაიე, ჯოე ლედლი, მარუან შამახი, ბრედ ჰანგელანდი

**ნიუკასლი-ტოტენჰემი**

ნიუკასლი: **ტრავმ-**რობერტ ელიოტი, ფაბრიციო კოლოჩინი, ტიმ კრული, მასაიდო ჰაიდარა

ტოტენჰემი: **ტრავმ-**დანი როუზი, ტობი ალდერვაილერდი, ნაბილ ბენტალები; **დისკვ-**დელე ალი, მუსა დემბელე

**ევერტონი-ნორვიჩი**

ევერტონი: **ტრავმ-**ტონი ჰიბერტი, ჯერარდ დელოფეუ, ტიას ბრაუნინგი

ნორვიჩი: **ტრავმ-**ჯონათან ჰოუსონი, ანდრე უისდომი, ტიმ კლოსე, ალექსანდერ ტეტეი

**ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული**

ვესტ ბრომვიჩი: **ტრავმ-**კრის ბრუნტი, ჯეიმს მორისონი

ლივერპული: **ტრავმ-**დენი უორდი, დივოკ ორიჯი, ჯორდან ჰენდერსონი, ჯორდან როსიტერი, დანი ინგსი, ჯოზეფ გომესი

**უოტფორდი-სანდერლენდი**

უოტფორდი: **ტრავმ-**ვალონ ბეჰრამი, ეტიენ კაპო

სანდერლენდი: **ტრავმ-**ბილი ჯონსი

**არსენალი-ასტონ ვილა**

არსენალი: **ტრავმ-**დენი უელბეკი, ალექს ოსლეიდ-ჩემბერლენი, პერ მერტეზაკერი

ასტონ ვილა: **ტრავმ-**ჯორდან ამავი

**ჩელსი-ლესტერი**

ჩელსი: **ტრავმ-**დიეგო კოშტა, ლოიკ რემი, კურტ ზუმა

ლესტერი: **ტრავმ-**არავინ; **დისკვ-**რობერტ ჰანტი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 37 | 23 | 11 | 3 | 67-35 | 80 |
| 2.ტოტენჰემი | 37 | 19 | 13 | 5 | 68-30 | 70 |
| 3.არსენალი | 37 | 19 | 11 | 7 | 61-36 | 68 |
| 4.სიტი | 37 | 19 | 8 | 10 | 70-40 | 65 |
| 5.მანჩესტერი | 37 | 18 | 9 | 10 | 46-34 | 63 |
| 6.ვესტ ჰემი | 37 | 16 | 14 | 7 | 64-49 | 62 |
| 7.საუთჰემპტონი | 37 | 17 | 9 | 11 | 55-40 | 60 |
| 8.ლივერპული | 37 | 16 | 11 | 10 | 62-49 | 59 |
| 9.ჩელსი | 37 | 12 | 13 | 12 | 58-52 | 49 |
| 10.სტოკი | 37 | 13 | 9 | 15 | 39-54 | 48 |
| 11.სუონსი | 37 | 12 | 10 | 15 | 41-51 | 46 |
| 12.ევერტონი | 37 | 10 | 14 | 13 | 56-55 | 44 |
| 13.უოტფორდი | 37 | 12 | 8 | 17 | 38-48 | 44 |
| 14.კრ.პალასი | 37 | 11 | 9 | 17 | 38-47 | 42 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 10 | 12 | 15 | 33-47 | 42 |
| 16.ბორნმუთი | 37 | 11 | 9 | 17 | 44-64 | 42 |
| 17.სანდერლენდი | 37 | 9 | 11 | 17 | 46-60 | 38 |
| 18.ნიუკასლი | 37 | 8 | 10 | 19 | 39-64 | 34 |
| 19.ნორვიჩი | 37 | 9 | 7 | 21 | 39-64 | 34 |
| 20.ასტონ ვილა | 37 | 3 | 8 | 26 | 27-72 | 17 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | დეპორტივო-რეალი | 11.0 | 7.0 | 1.17 |
| 14.05 | გრანადა-ბარსელონა | 17.0 | 9.5 | 1.08 |
| 14.05 | ატლეტიკო-სელტა | 1.91 | 3.3 | 3.75 |
| 14.05 | ბილბაო-სევილია | 1.36 | 4.75 | 7.0 |
| 15.05 | მალაგა-ლას პალმასი | 1.83 | 3.4 | 4.0 |
| 15.05 | ესპანიოლი-ეიბარი | 2.05 | 3.4 | 3.25 |
| 15.05 | ხიხონი-ვილიარეალი | 1.36 | 4.33 | 8.0 |
| 15.05 | რაიო-ლევანტე | 1.28 | 5.5 | 7.5 |
| 15.05 | ბეტისი-ხეტაფე | 5.0 | 3.8 | 1.6 |

**დეპორტივო-რეალი**

დეპორტივო: **ტრავმ-**ხუან დომინგესი, გერმან ლუქსი

რეალი: **ტრავმ-**ლუკას ვასკესი

**გრანადა-ბარსელონა**

გრანადა: **ტრავმ-**დიმიტრი ფოლკე

ბარსელონა: **ტრავმ-**კლაუდიო ბრავო, სანდრო რამირესი

**ატლეტიკო-სელტა**

ატლეტიკო: **ტრავმ-**არავინ

სელტა: **ტრავმ-**ნესტორ დიასი, ენდრიუ ფონტასი; **დისკვ-**გუსტავო კაბრალი

**ბილბაო-სევილია**

ბილბაო: **ტრავმ-**ოსკარ დე მარკოსი, საბინ მერინო, აიმერიკ ლაპორტე

სევილია: **ტრავმ-**ბენუა ტრემულანისი, მიკაელ კრონ-დელი, მარკო ანდრეოლი

**მალაგა-ლას პალმასი**

მალაგა: **ტრავმ-**როკე სანტა კრუზი, რობერტო როსალესი, ხუან კარლოსი

ლას პალმასი: **ტრავმ-**ხავი კასტელანო

**ესპანიოლი-ეიბარი**

ესპანიოლი: **ტრავმ-**ფელიპე კაისედო, აბრაჰან გონსალესი, ანაიც არბილია

ეიბარი: **ტრავმ-**არავინ

**ხიხონი-ვილიარეალი**

ხიხონი: **ტრავმ-**დანიელ ნდი, ბერნარდო ესპინოზა

ვილიარეალი: **ტრავმ-**ხაიმე კოსტა

**რაიო-ლევანტე**

რაიო: **ტრავმ-**პიტი, ტონო, რაულ ბაენა, ზე კასტრო, პატრიკ ებერტი

ლევანტე: **ტრავმ-**მაურისიო კუერო, ზუაირ ფედალი

**ბეტისი-ხეტაფე**

ბეტისი: **ტრავმ-**ხუან ვარგასი, დიდიე დიუგარი, კრისტიანო პიცინი; **დისკვ-**ანტონიო ადანი, ალვარო კეიუდო

ხეტაფე: **ტრავმ-**ვიქტორ როდრიგესი; **დისკვ-**კარლოს ვიგარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 37 | 28 | 4 | 5 | 109-29 | 88 |
| 2.რეალი | 37 | 27 | 6 | 4 | 108-34 | 87 |
| 3.ატლეტიკო | 37 | 27 | 4 | 6 | 61-18 | 85 |
| 4.ვილიარეალი | 37 | 18 | 10 | 9 | 44-33 | 64 |
| 5.სელტა | 37 | 17 | 9 | 11 | 51-57 | 60 |
| 6.ბილბაო | 37 | 17 | 8 | 12 | 55-44 | 59 |
| 7.სევილია | 37 | 14 | 10 | 13 | 50-47 | 52 |
| 8.მალაგა | 37 | 11 | 12 | 14 | 34-34 | 45 |
| 9.სოსიედადი | 37 | 12 | 9 | 16 | 44-48 | 45 |
| 10.ლას პალმასი | 37 | 12 | 8 | 17 | 44-49 | 44 |
| 11.ვალენსია | 37 | 11 | 11 | 15 | 46-47 | 44 |
| 12.ეიბარი | 37 | 11 | 10 | 16 | 47-57 | 43 |
| 13.დეპორტივო | 37 | 8 | 18 | 11 | 45-59 | 42 |
| 14.ბეტისი | 37 | 10 | 12 | 15 | 32-51 | 42 |
| 15.ესპანიოლი | 37 | 11 | 7 | 19 | 36-72 | 40 |
| 16.გრანადა | 37 | 10 | 9 | 18 | 46-66 | 39 |
| 17.ხეტაფე | 37 | 9 | 9 | 19 | 36-65 | 36 |
| 18.ხიხონი | 37 | 9 | 9 | 19 | 38-62 | 36 |
| 19.რაიო | 37 | 8 | 11 | 18 | 49-72 | 35 |
| 20.ლევანტე | 37 | 8 | 8 | 21 | 36-67 | 32 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | დარმშტადი-გლადბახი | 3.5 | 3.6 | 1.91 |
| 14.05 | დორტმუნდი-კიოლნი | 1.25 | 6.0 | 8.0 |
| 14.05 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.08 | 9.0 | 17.0 |
| 14.05 | მაინცი-ჰერტა | 2.1 | 3.4 | 3.1 |
| 14.05 | ლევერკუზენი-ინგოლშტადი | 1.44 | 4.33 | 6.0 |
| 14.05 | ვერდერი-აინტრახტი | 2.0 | 3.75 | 3.1 |
| 14.05 | ჰოფენჰაიმი-შალკე | 2.87 | 3.75 | 2.6 |
| 14.05 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.45 | 3.6 | 2.6 |
| 14.05 | აუგსბურგი-ჰამბურგი | 2.0 | 3.6 | 3.2 |

**დარმშტადი-გლადბახი**

დარმშტადი: **ტრავმ-**სლობოდან რაიკოვიჩი, იან როზენტალი

გლადბახი: **ტრავმ-**ტონი იანჩკე, ალვარო დომინგესი, ნიკო შულცი

**დორტმუნდი-კიოლნი**

დორტმუნდი: **ტრავმ-**ილკაი გუნდოგანი, პარკ ჯოო ჰო, ნევენ სუბოტიჩი

კიოლნი: **ტრავმ-**არავინ

**ბაიერნი-ჰანოვერი**

ბაიერნი: **ტრავმ-**არიენ რობენი, ჰოლგერ ბადშტურბერი

ჰანოვერი: **ტრავმ-**ჰიკორი საკაი, ანდრე ჰოფმანი, უგო ალმეიდა, ალექსანდრ მილოშევიჩი, უფე ბეხი, მარიუს ვულფი, ჰოტარი იამაგუჩი, ჩარლისონ ბენშოპი, ლეონ ანდრეასენი

**მაინცი-ჰერტა**

მაინცი: **ტრავმ-**ლეონ ბალოგუნი, იოშინორი მუტო, დევანტე პარკერი

ჰერტა: **ტრავმ-**იოანეს ვან დერ ბერგი, იენს ჰეგელერი, რონი

**ლევერკუზენი-ინგოლშტადი**

ლევერკუზენი: **ტრავმ-**ვენდელი, ჯონათან ტა, ვლადენ იურჩენკო, სებასტიან ბენიში, კირიაკოს პაპადოპულოსი

ინგოლშტადი: **ტრავმ-**მაქს კრისტიანსენი

**ვერდერი-აინტრახტი**

ვერდერი: **ტრავმ-**სანტიაგო გარსია, მილოშ ველიკოვიჩი, არონ იოჰანსონი, ოლივერ ჰუსინგი

აინტრახტი: **ტრავმ-**კარლოს ძამბრანო, სტეფან რეინალტცი, სლობოდან მილოშევიჩი, ალექსანდერ მეიერი, იოანეს ფლუმი

**ჰოფენჰაიმი-შალკე**

ჰოფენჰაიმი: **ტრავმ-**სტივენ ზუბერი

შალკე: **ტრავმ-**სიდნეი სამი

**ვოლფსბურგი-შტუტგარტი**

ვოლფსბურგი: **ტრავმ-**რიკარდო როდრიგესი, ბრუნო ენრიკე, ჯულიან დრექსლერი, სებასტიან იუნგი

შტუტგარტი: **ტრავმ-**ფედერიკო ბარბა, სერეი დიე, არიანიტ ფერატი, დანიელ გინსეკი

**აუგსბურგი-ჰამბურგი**

აუგსბურგი: **ტრავმ-**პოლ ვერაე, ალექსანდერ ესვეინი, პიოტტრ ტროხოვსკი, იან0ინგვერ კალსენ-ბრაკერი

ჰამბურგი: **ტრავმ-**გიდეონ იუნგი, რენე ადლერი, ნიკოლაი მიულერი, იოსიპ დრმიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 33 | 27 | 4 | 2 | 77-16 | 85 |
| 2.დორტმუნდი | 33 | 24 | 5 | 4 | 80-32 | 77 |
| 3.ლევერკუზენი | 33 | 17 | 6 | 10 | 53-38 | 57 |
| 4.გლადბახი | 33 | 16 | 4 | 13 | 65-50 | 52 |
| 5.მაინცი | 33 | 14 | 7 | 12 | 46-42 | 49 |
| 6.ჰერტა | 33 | 14 | 7 | 12 | 42-42 | 49 |
| 7.შალკე | 33 | 14 | 7 | 12 | 47-48 | 49 |
| 8.ვოლფსბურგი | 33 | 11 | 9 | 13 | 44-48 | 42 |
| 9.კიოლნი | 33 | 10 | 12 | 11 | 36-40 | 42 |
| 10.ინგოლშტადტი | 33 | 10 | 10 | 13 | 31-39 | 40 |
| 11.აუგსბურგი | 33 | 9 | 11 | 13 | 41-49 | 38 |
| 12.ჰამბურგი | 33 | 10 | 8 | 15 | 37-45 | 38 |
| 13.დარმშტადტი | 33 | 9 | 11 | 13 | 38-51 | 38 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 33 | 9 | 10 | 14 | 38-50 | 37 |
| 15.აინტრახტი | 33 | 9 | 9 | 15 | 34-51 | 36 |
| 16.ვერდერი | 33 | 9 | 8 | 16 | 49-65 | 35 |
| 17.შტუტგარტი | 33 | 9 | 6 | 18 | 49-72 | 33 |
| 18.ჰანოვერი | 33 | 7 | 4 | 22 | 30-59 | 25 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 14.05 | სასუოლო-ინტერი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 14.05 | ნაპოლი-ფროზინონე | 1.12 | 9.0 | 17.0 |
| 14.05 | მილანი-რომა | 3.2 | 3.6 | 2.15 |
| 15.05 | ჯენოა-ატალანტა | 1.91 | 3.6 | 3.8 |
| 15.05 | კიევო-ბოლონია | 2.1 | 3.5 | 3.2 |
| 15.05 | ემპოლი-ტორინო | 2.37 | 3.5 | 2.87 |
| 15.05 | ლაციო-ფიორენტინა | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 15.05 | პალერმო-ვერონა | 1.17 | 6.5 | 13.0 |
| 15.05 | უდინეზე-კარპი | 2.37 | 3.4 | 2.9 |

**იუვენტუსი-სამპდორია**

იუვენტუსი: **ტრავმ-**სამი ხედირა, კლაუდიო მარკიზიო, მარტინ კასერესი; **დისკვ-**ალექს სანდრო

სამპდორია: **ტრავმ-**კარლოს კარბონერო

**სასუოლო-ინტერი**

სასუოლო: **ტრავმ-**ლუკა ანტეი; **დისკვ-**დომენიკო ბერარდი

ინტერი: **ტრავმ-**მაურო იკარდი; **დისკვ-**ივან პერიშიჩი, სამირ ჰანდანოვიჩი

**ნაპოლი-ფროზინონე**

ნაპოლი: **ტრავმ-**არავინ; **დისკვ-**რაულ ალბიოლი

ფროზინონე: **ტრავმ-**ფრანჩესკო ბარდი

**მილანი-რომა**

მილანი: **ტრავმ-**ლუკა ანტონელი, როდრიგო ელი

რომა: **ტრავმ-**არავინ

**ჯენოა-ატალანტა**

ჯენოა: **ტრავმ-**ალესიო ჩერჩი, მატია პერინი

ატალანტა: **ტრავმ-**გაბრიელ პალეტა, გულიელმო სტენდარდო, დავიდე ბასი

**კიევო-ბოლონია**

კიევო: **ტრავმ-**ნიკოლას ფრეი, დარიო დაინელი, ფედერიკო მატიელო

ბოლონია: **ტრავმ-**დანიელე კასტადელო, არხიმედ მორლეო, მატია დესტრო; **დისკვ-**ამადუ დიავარა, მარიოს ოიკონოუმი

**ემპოლი-ტორინო**

ემპოლი: **ტრავმ-**ლუკას სკორუპსკი, მარკო ლივაია; **დისკვ-**ლევან მჭედლიძე, მარსელ ბუჩელი

ტორინო: **ტრავმ-**დანილო აველარი; ჩეზარე ბოვო, ჯუზეპე ვუვესი

**ლაციო-ფიორენტინა**

ლაციო: **ტრავმ-**ვესლი ჰოდტი, ალესანდრო მატრი, რიკარდო კიშნა, შტეფან რადუ, სტეფან დე ვრეი; **დისკვ-**ლუკას ბილია, ფილიპ ჯორჯევიჩი

ფიორენტინა: **ტრავმ-**ხოუმა ბაბაქარი; **დისკვ-**ბორხა ვალერო, მანუელ პასკუალი

**პალერმო-ვერონა**

პალერმო: **ტრავმ-**არავინ

ვერონა: **ტრავმ-**სამუელ სოპრაიენი, მოჰამედ ფარესი, ჯანპაოლო პაცინი

**უდინეზე-კარპი**

უდინეზე: **ტრავმ-**მოლა ვოგი, ზდრავკო კუზმანოვიჩი

კარპი: **ტრავმ-**იგორ ბუბნიჩი; პაბრიციო პოლი, გაეტანო ლეტიცია, სიმონე რომანოლი, ლორენცო ლოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 28 | 4 | 5 | 70-20 | 88 |
| 2.ნაპოლი | 37 | 24 | 7 | 6 | 76-32 | 79 |
| 3.რომა | 37 | 22 | 11 | 4 | 80-40 | 77 |
| 4.ინტერი | 37 | 20 | 7 | 10 | 49-35 | 67 |
| 5.ფიორენტინა | 37 | 17 | 10 | 10 | 56-40 | 61 |
| 6.სასუოლო | 37 | 15 | 13 | 9 | 46-39 | 58 |
| 7.მილანი | 37 | 15 | 12 | 10 | 48-40 | 57 |
| 8.ლაციო | 37 | 15 | 9 | 13 | 50-48 | 54 |
| 9.კიევო | 37 | 13 | 10 | 14 | 43-45 | 49 |
| 10.ჯენოა | 37 | 13 | 7 | 17 | 44-46 | 46 |
| 11.ტორინო | 37 | 12 | 9 | 16 | 51-53 | 45 |
| 12.ემპოლი | 37 | 11 | 10 | 16 | 38-48 | 43 |
| 13.ატალანტა | 37 | 10 | 12 | 15 | 39-46 | 42 |
| 14.ბოლონია | 37 | 11 | 8 | 18 | 33-45 | 41 |
| 15.სამპდორია | 37 | 10 | 10 | 17 | 48-56 | 40 |
| 16.უდინეზე | 37 | 10 | 9 | 18 | 34-58 | 39 |
| 17.პალერმო | 37 | 9 | 9 | 19 | 35-63 | 36 |
| 18.კარპი | 37 | 8 | 11 | 18 | 35-56 | 35 |
| 19.ფროზინონე | 37 | 8 | 7 | 22 | 35-72 | 31 |
| 20.ვერონა | 37 | 5 | 13 | 19 | 32-60 | 28 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | პსჟ-ნანტი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 14.05 | სტ.ეტიენი-ლილი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 14.05 | ტრუა-მარსელი | 4.5 | 4.33 | 1.61 |
| 14.05 | მონაკო-მონპელიე | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 14.05 | ანჟე-ტულუზა | 4.75 | 3.4 | 1.8 |
| 14.05 | გენგამი-ნიცა | 4.2 | 3.5 | 1.85 |
| 14.05 | კაენი-ბორდო | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 14.05 | რენი-ბასტია | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 14.05 | რეიმსი-ლიონი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 14.05 | ლორიანი-გაზელეკი | 3.1 | 3.5 | 2.2 |

**პსჟ-ნანტი**

პსჟ: **ტრავმ-**მარკო ვერატი, ხავიერ პასტორე, ბლეზ მატუიდი

ნანტი: **ტრავმ-**ჯულიეს ილოკი, ბირამა ტურე, ლორიკ კანა, ვილფრედ მოიმბე, კოლბეინ სიტორსონი, ვალენტინ რონიე

**სტ.ეტიენი-ლილი**

სტ.ეტიენი: **ტრავმ-**მუსტაფა სალი, ოსამა ტანანე, ჯონათან ბრისონო, რობერტ ბერიჩი

ლილი: **ტრავმ-**სოფიან ბუფალი, ბენჯამინ პავარდი, მარვინ მარტინი, მაიკ მაინანი

**ტრუა-მარსელი**

ტრუა: **ტრავმ-**მოჰამადუ დაბო, ქვენტინ ოტონი, ანელე ნგკონგკა, ბაბაქარ გუეიე, მორი კონე

მარსელი: **ტრავმ-**აბუ დიაბი, როლანდო, შტეფან სპარანგა

**მონაკო-მონპელიე**

მონაკო: **ტრავმ-**ჟოაო მოუტინიუ, ალმანა ტურე, ფაბიო კოენტრაუ, მარიო პასალიჩი

მონპელიე: **ტრავმ-**პოლ ლანსე

**ანჟე-ტულუზა**

ანჟე: **ტრავმ-**რომან საისი, სლიმანე სისოკო, იოან ენდრიუ

ტულუზა: **ტრავმ-**ტონგო დუმბია, ნუმან ბოსტანი, ზინედინ მაჩაჩი, ალექსანდერ პესიჩი

**გენგამი-ნიცა**

გენგამი: **ტრავმ-**ლარს იაკობსენი, იანის სალიბური, რეინალდ ლენო, ნიკოლას ბენზეტი

ნიცა: **ტრავმ-**მიშელ ლე ბიანი, სიმონ პუპლინი

**კაენი-ბორდო**

კაენი: **ტრავმ-**ერვე ბაზილე, ალადიან იაია, ჩაკერ ალადური, იან მაკენგო, ემანუელ იმოროუ

ბორდო: **ტრავმ-**მაურო არამბარი, სედრიკ კარასო, გრეგუარ სერტიჩი

**რენი-ბასტია**

რენი: **ტრავმ-**ბენჯამინ ანდრე, იოან გურკუფი, აბდულაიე დიალო, პოლ ნტეპი

ბასტია: **ტრავმ-**ფლორიან რასპენტინო

**რეიმსი-ლიონი**

რეიმსი: **ტრავმ-**ჰამარი ტრაორე, იოან კარასო, ფრანკ სინორინო, ოდაირ ფორტესი, ჰასანე კამარა, ალექს პეჟო

ლიონი: **ტრავმ-**კორენტინ ტოლესო, ალდო კალულუ, სტიდ მალბრანკი

**ლორიანი-გაზელეკი**

ლორიანი: **ტრავმ-**ვალიდ მესლობი, ზარგო ტურე, მაიედ ვორისი, ვინსენტ ლე გოფი

გაზელეკი: **ტრავმ-**მოჰამედ ლარბი, ჯერემი ბრეჩე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 37 | 29 | 6 | 2 | 98-19 | 93 |
| 2.ლიონი | 37 | 19 | 8 | 10 | 66-39 | 65 |
| 3.მონაკო | 37 | 16 | 14 | 7 | 55-50 | 62 |
| 4.ნიცა | 37 | 17 | 9 | 11 | 55-39 | 60 |
| 5.სტ.ეტიენი | 37 | 17 | 7 | 13 | 42-36 | 58 |
| 6.ლილი | 37 | 14 | 15 | 8 | 38-27 | 57 |
| 7.რენი | 37 | 13 | 13 | 11 | 51-52 | 52 |
| 8.კაენი | 37 | 15 | 6 | 16 | 38-52 | 51 |
| 9.ანჟე | 37 | 13 | 11 | 13 | 38-35 | 50 |
| 10.ბორდო | 37 | 12 | 14 | 11 | 50-56 | 50 |
| 11.მონპელიე | 37 | 14 | 7 | 16 | 49-45 | 49 |
| 12.ნანტი | 37 | 12 | 12 | 13 | 33-40 | 48 |
| 13.მარსელი | 37 | 10 | 17 | 10 | 47-41 | 47 |
| 14.ბასტია | 37 | 13 | 8 | 16 | 34-41 | 47 |
| 15.გენგამი | 37 | 11 | 11 | 15 | 45-53 | 44 |
| 16.ლორიანი | 37 | 10 | 13 | 14 | 46-58 | 43 |
| 17.ტულუზა | 37 | 8 | 13 | 16 | 42-53 | 37 |
| 18.გაზელეკი | 37 | 8 | 13 | 16 | 37-57 | 37 |
| 19.რეიმსი | 37 | 9 | 9 | 19 | 40-56 | 36 |
| 20.ტრუა | 37 | 3 | 8 | 26 | 27-82 | 17 |

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა



## ორშაბათი 16 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "ამერიკული ოდისეა" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "იძებნება"

08.00 დ/ფ "ინკების მარილი" 09.00 მხ/ფ "ბეთჰოვენი" 10.30 დ/ფ "საბერძნეთი-კრეტა" 11.00 ქართ. მხ/ფ "ნერგები" 12.30 დ/ფ "ტვინი სარკეში" 13.30 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 20.00 "მოამბე"(5 ენაზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბამბის ველი" 11.20 სერ. "დახურული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.30 მხ/ფ "შიშველი პისტოლეტი 2" 01.15 მხ/ფ "შავ-თეთრი" 02.45 მხ/ფ "თითქმის გათხოვილი" 04.30 სერ. "კონტრაქტის პირობები" 1-2 სერ.

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.45 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 22.00 X -ფაქტორი 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. ""მენტალისტი"" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00, 3.00 სერ. ""გრეის ანატომია"" 13.00 სერ. "ძვლები" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამეფო კარის თამაშები" 23.45 სერ. "ჯოჯოხეთი ბორბლებზე" 0.40 მხ/ფ "შოტლანდიის უკანასკნელი მეფე"

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 დიდ ხარ შენ უფალო!...ადამი და ევა 08.30 "განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "დღე უკანასკნელი, დღე პირველი" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" 15.10 ქართული ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.45 სპექტაკლი "კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა" 16.50 დ/ფ "რაზიკაშვილები" 17.40 დიდ ხარ შენ უფალო !... ათი მცნება 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "გიორგობის თვე" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 დიდ ხარ შენ უფალო !...სოდომი და გომორი 22.30 ძველი ალთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "კარმელიტა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "უცხო"

## სამშაბათი 17 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "ამერიკული ოდისეა" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "ცხოვრება ციფრებში" 21.10 "რიო – 2016" 21.35 დ/ფ 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "აპოსტოლი"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "დანიელ ბურენი გრან პალეში" 13.00 დ/ფ "შტაინერების ოჯახი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 20.00 "მოამბე"(5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბამბის ველი" 11.20 სერ. "დახურული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 ცოდნა ფულია 23.20 გრიფით საიდუმლო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "როცა ჰარი შეხვდა სალის" 02.50 მხ/ფ "ბრილიანტის ამბავი" (ტიტ.) 04.30 სერ. "კონტრაქტის პირობები" 3-4 სერ.

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.00 კურიერი 18.45 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00, 3.00 სერ. "გრეის ანატომია" 13.00 სერ. "ძვლები" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამეფო კარის თამაშები" 23.40 სერ. "ჯოჯოხეთი ბორბლებზე" 0.40 მხ/ფ "ბორცვებსაც აქვთ თვალები" 2.30URBAN STORIES

06.10 სპექტაკლი "კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა" 07.55 დიდ ხარ შენ უფალო !...ადამი და ევა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 საქართველოს ქალაქები-ბათუმი 11.10 დიდ ხარ შენ უფალო !...10 მცნება 11.30 ერთი წვეთი 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მხ/ფ "გიორგობის თვე" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ტრაპეზი "ლობიო" 15.50 კონცერტი "ლაპრები" 16.30 მგზავრები წუთისოფლისა "რაჭა, ლეჩხუმის ეპარქია" 16.00 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 17.15 დიდ ხარ შენ უფალო !...სოდომი და გომორი 17.30 კვირიაკე სიუჟეტი-ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მოკ. მხ/ფ "პირილეს ოდისეა" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 ჩვენი ფონდი 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "კარმელიტა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "უცხო"

## ოთხშაბათი 18 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ამერიკული ოდისეა" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 23.00 ტ/სერ. "ბანქოს სახლი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "დაივიწყე სარა მარშალი" (კ.ბელი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 14.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 16.30 "პოლიტალტერნატივა" 18.00 "თავისუფალი ტრიბუნა 19.00 ფეხბურთი: საქართველოს თასის ფინალი 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბამბის ველი" 11.20 სერ. "დახურული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "რომეო და ჯულიეტა" 02.15 მხ/ფ "როცა ჰარი შეხვდა სალის" 04.30 სერ. "კონტრაქტის პირობები" 5-6 სერ.

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.45 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 22.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00, 3.00 სერ. "გრეის ანატომია" 13.00 სერ. "ძვლები" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამეფო კარის თამაშები" 23.40 სერ. "ჯოჯოხეთი ბორბლებზე" 0.40 მხ/ფ "ბორცვებსაც აქვთ თვალები 2" 2.15 ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 მოკ. მხ/ფ "ბაკურციხელი ხევსური" 11.15 ერთხელ ბავშვობაში 11.30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ხვარამზე" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.20 ველური ბუნება 16.00 კონცერტი 17.10 ძველი აფიშა "ალალე" 17.30 ძველი ალთქმის წინასწარმეტყველები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "თეთრი ქარავანი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "კარმელიტა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "უცხო"

## ხუთშაბათი 19 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "წიგნების თარო" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.10 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 23.00 ტ/სერ. "ბანქოს სახლი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "მამაჩემის სახელით" (დ.დეი ლუისი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 13.00 დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" 14.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 16.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე"(5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბამბის ველი" 11.20 სერ. "დახურული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "გაქცევა" 02.30 მხ/ფ "რომეო და ჯულიეტა" 04.30 სერ. "კონტრაქტის პირობები" 7-8 სერ.

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.45 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 22.00 პროფილი 00.00 P.S. 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00, 3.00 სერ. "გრეის ანატომია" 13.00 სერ. "ძვლები" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამეფო კარის თამაშები" 23.40 სერ. "ჯოჯოხეთი ბორბლებზე" 0.40 მხ/ფ "მაქს პეინი" 2.30 URBAN STORIES

06.15 სჯანი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა "ტიტა" 07.05 ქართული ალბომი 07.50 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "თეთრი ქარავანი" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "დუმფარა" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართ. ან/ფ 15.50 ჩვენი ფონდი 16.20 კონცერტი 17.35 დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ბავშვთა და სნეულთა ზიარება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 დ/ფ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 თვენი 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 21.45 ფსალმუნის განმარტება 22.25 ჩვენი საგანძური 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.25 ისტორიის დღიური 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.00 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "კარმელიტა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "უცხო"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზარის" ნებართვით

## პარასკევი 20 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ 12.30 "ბრაუზერი" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "ეკიპაჟი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" 21.40 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "ბანქოს სახლი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "დილერები"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" 14.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 16.00 დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე"(5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ბამბის ველი" 11.20 სერ. "დახურული სკოლა" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "ფიჭვნარს მიღმა" 02.15 მხ/ფ "ჩვ: ნაწილი მეორე" 05.00 სერ. "კონტრაქტის პირობები" 9-10 სერ.

06.30 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.00 კურიერი 15.55 სერ. "ქარადაი - ახალგაზრდობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.45 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 19.45, 20.05 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქუჩის უბანი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 29 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00, 3.00 სერ. "გრეის ანატომია" 13.00 სერ. "ძვლები" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "სამეფო კარის თამაშები" 23.40 სერ. "ჯოჯოხეთი ბორბლებზე" 0.40 მხ/ფ "ბროუკენ ლიზარდის შიშის კლუბი" 2.30 URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "მცხეთა, წმინდა ქალაქი--ჯვარი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 მოკ. მხ/ფ "არაჩვეულებრივი რეისი" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კოპარისი" 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 დ/ფ "ველური ბუნება" 15.40 კონცერტი "თეატრალური კვარტეტი" 17.15 მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის გაცნობა" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "გაზაფხული გაღმის" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "დმანის ხევი-ტანძია და ფიტარეთი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" 00.35 დ/ფ "ქართული მართმადიდებლური ეკლესია" 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 15.30, 1.30 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "კარმელიტა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "უცხო"

## შაბათი 21 მაისი

08.00 "წიგნების თარო" 09.00 "პირადი ექიმი" 10.00 ან/სერ. "მხიარული ფერმა" 10.30 საბ/ფ "ზღაპრული უფლისწული" 12.00, 14.00, 20.00 "მოამბე" 12.15 "გურმანია" 12.45 ქართ. მხ/ფ "მე მოვედი" 14.15 დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" 15.25 ძარიანი ავტომობილებით საერთაშორისო შეჯიბრება 16.30 დ/ფ "თოფ-გიარი" 17.30 "მუსიკოლოგოსი" 18.00 მხ/ფ "იმპერატორის კლუბი" (კ.კლაინი) 21.00 "ხანმოკლე XX საუკუნე" 21.25 "ბრაუზერი" 21.50 "ტრანსმისია" 22.20 "ეკიპაჟი" 22.50 "წითელი ზონა" 23.50 მხ/ფ "მწვანე მილი" 02.10 "მუსიკოლოგოსი"

08.00, 10.10, 12.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 დ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება" 13.00 ქართ. მხ/ფ "ნუცას სკოლა" 14.45 დ/ფ "მადაგასკარი" 15.10 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 17.00 "სუპერ-ეგო" 18.00 დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" 19.00 "ეპიცენტრი" 20.00 "ჩვენი პარლამენტი" 20.30 მხ/ფ "მშობლები" 23.00 მხ/ფ "მდინარე"

06.30 სერ. "თანხმობა" 08.00 მხ/ფ "გამომგონებელი" 10.00 სტუმრად იუმორინასთან 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 ცოდნა ფულია 13.00 კულინარიული დუელი 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.00 ქრონიკის სტუდია 20.55 სერ. "ელიფი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5" 23.00 მხ/ფ "მოგზაურობა ამერიკაში" 01.10 მხ/ფ "ჯენიფერ რვა" 03.10 მხ/ფ "ფიჭვნარს მიღმა" 05.25 სერ. "კონტრაქტის პირობები"11-12 სერ.

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 09.00 მხ/ფ 10.30 თეკუნას კულინარიუმი 10.45 ქეთის სამზარეულო 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.00 კურიერი 15.30 X -ფაქტორი 18.30 იღბლიანი ბორბალი 19.30 გააცინე და მოიგე 23.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 30 23.50 რა? სად? როდის ? 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.30 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 10.30 ცოლები და ქმრები 12.00 ჯიდიპედია 13.00 მსოფლიო ფესტივალები 13.30 მხ/ფ "თინეიჯერის სული" 15.00 სერ. "პატარა ლამაზი მატყუარები" 17.10 მხ/ფ "ბიზნესი სიყვარულის გამო" 19.00 სერ. "ინტერესის ობიექტი" 21.00 ბინა 18 22.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.30 მხ/ფ "სახელმწიფოს მტერი" 0.55 მხ/ფ "ბოლო კადრი" 2.30 კიმონო 3.30 ბინა 18

06.10 მუს.პაუზა 06.15 საეკლესიო აღმშენებლობა 06.40 თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" 06.50 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში "დმანის ხევი ტანძია და ფიტარეთი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35 სიახლენი 10.35 კონცერტი 11.00 ძველი ალთქმის წინასწარმეტყველები 12.10 მხ/ფ "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" 5 სერ. 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ან/ფ 15.40 დ/ფ "ქართული გამბიტი" 16.15 კვირიაკე 17.15 საეკლესიო აღმშენებლობა 17.40 დ/ფ 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.10 დ/ფ 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა "ზამბახი" 19.35 ქართული ალბომი 20.00 დ/ფ "რწმენის აღორძინება" 20.45 განთიადის სიუჟეტი 20.50 სიბრძნისმეტყველება 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების სალონი 22.20 შუადღის სტუმარი 22.40 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ "საბრინა"

მაესტრო 7.00, 18.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 8.00 დოკ/სერ "ბარტ ვულფი" 9.00, 0.00 სერ. "ჩემი საყვარელი და" 10.00, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 მხ/ფ "უდაბნოს თეთრი მზე" 14.00, 15.30, 1.00 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 2.30 სერ. "კარმელიტა" 18.30 დოკ/სერ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 19.05 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.30 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "SWOT-ანალიზი" 22.30 სერ. "უცხო"

## კვირა 22 მაისი

08.00 "პირადი ექიმი" 09.00 ან/ფ "დესპეროს თავგადასავალი" 10.20 საბ/ფ "საიდუმლო ბაღში დაბრუნება" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.15 "გურმანია" 12.45 "ფერმა" 13.15 ქართ. მხ/ფ "ლომა" 15.00 "დღე მუზეუმში" 15.30 "ცხოვრება ციფრებში" 16.20 "ვაშინგტონი დღეს" 16.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 16.55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ტური - (დინამო) - ქობულეთის (შუქურა). 19.30 ქართ. ტ/ფ "ქვევრი" 20.00 "კვირის მოამბე" 21.00 "კალენდარი" – დავით მაღრაძე 21.45 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.20 "ეკიპაჟი" 23.00 "ვექტორი" 23.30 "უცნობი მუსიკა" 01.00 მხ/ფ "ბრიზი" 03.15 "დღე მუზეუმში"

08.00, 10.10, 12.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან" 10.00 მხ/ფ "ცხოველთა ფერმა"11.30 დ/ფ "ეგვიპტე" 12.00 დ/ფ "ალენ ბაშუნგი" 13.00 ქართ. მხ/ფ "თემო" 14.20 დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" 14.50 მხ/ფ "ორი ძმა" 16.30 დ/ფ "ტიბეტის ძველი სამეფო" 17.00 "აფხაზეთი" 18.00 მხ/ფ "ტურის დღე" 20.20 დ/ფ "დიზაინი" 20.45 მხ/ფ "არ ვარ რაპაპორტი" 23.00 "ნამდვილი დრო" – კვირის დაიჯესტი 23.30 მხ/ფ "ჯუნგლების ციებცხელება"

07.00 სერ. "თანხმობა" 08.30 ქ.მხ/ფ "სიყვარული ყველას უნდა" 10.20 ბასტი ბუბუ 11.00, 14.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 11.15 ცეკვავენ ვარსკვლავები 14.40 სერ. "თანხმობა" 17.30 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 19.30 რისკ ფაქტორი 20.00 იმედის დრო 22.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5" 23.00 ილო ბეროშვილის შოუ 00.00 მხ/ფ "ციდან სამ მეტრზე 2" 02.10 მხ/ფ "კარლიტოს გზა" 04.30 სერ. "კონტრაქტის პირობები"13-14 სერ.

08.00, 03.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 09.00 ქ.მხ/ფ "ვერის უბნის მელოდიები" 10.30 თეკუნას კულინარიუმი 10.45 ქეთის სამზარეულო 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.45 ვანოს შოუ 13.30 იღბლიანი ბორბალი 15.30 მარაო 18.30 ექიმები 20.00 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 განსხვავებული აქცენტები 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 31 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.30 ან/სერ. - "ვარსკვლავური ომები" 11.00 ცოლები და ქმრები 12.00 ეკოვიზია 13.00 მსოფლიო ფესტივალები 13.30 მხ/ფ "ჩემი მომავალი შეყვარებული" 15.00 სერ. "პატარა ლამაზი მატყუარები" 17.10 მხ/ფ "სცენის ვარსკვლავი" 19.00 სერ. "ინტერესის ობიექტი" 21.00 59 წამი 22.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 23.00 კიმონო 0.00 მხ/ფ "არმაგედონი" 2.45 ჯიდიპედია 3.45 ეკოვიზია

06.10 მუს.პაუზა 06.20 მოკ. მხ/ფ "არაჩვეულებრივი რეისი" 07.10 მულტ. "ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში" 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 საეკლესიო აღმშენებლობა 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 10.00 სიბრძნისმეტყველება 11.15 ქართული ალბომი 11.40 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 12.15 მხ/ფ "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" 6 სერ. 13.15 სათავეებთან "ლადო ასათიანი" 14.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ან/ფ 15.40 მუს.პაუზა 15.55 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.40 ერთხელ ბავშვობაში 18.30 დროის ჩანაწერები 19.20 მხ/ფ "მოიტაცეს თამარ ქალი" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.05 ძველი ალთქმის წინასწარმეტყველები 23.15 საქართველოს სამართლის ისტორია 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "ოქროს ციებცხელება"

მაესტრო 7.00, 18.00, 19.00, 1.30, 0 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები"-33 (ჟესტიკულაციით) 8.00 დოკ/სერ "მსოფლიოს გამაოგნებელი რესტორნები" 9.00, 2.00 სერ. "ჩემი საყვარელი და" 10.00, სერ. "შავი ფული და სიყვარული" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 მხ/ფ "შემოდგომის მარათონი" 14.00, 15.30, 3.00 სერ. "მფარველი ანგელოზი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "კარმელიტა" 18.30 დ/ფ "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" 19.00 სერ. "ქალთა ექიმი" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.30 სერ. "ფართოა მდინარე" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 მხ/სერ "ახალი სიცოცხლე"

# დავით აღმაშენებლისა და ლაშა გიორგის პორტრეტები მადრიდში გამოფინეს



საქართველოს ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი მეფის დავით აღმაშენებლისა და ლაშა გიორგის პორტრეტები მადრიდში გამოფინეს. ნამუშევრები ხელოვნების სასახლეშია დაცული და მათი ავტორი გიორგი გეგეჭკორია.

– საქართველოს მეფეების მედიდური გამოხედვითა და ბრწყინვალე ჩაცმულობით არ შეიძლება არ მოიხიბლო, – განაცხადა გამოფენაზე მისულმა ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხორხე ფერნანდო დიაზმა და მადლობა გადაუხადა ავტორს ესპანეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სამხედრო წარმატებების ისტორიას ესპანელები მადრიდის სანტა ბარბარას სასახლის საგამოფენო დარბაზებში ეცნობოდნენ. ექსპოზიციაზე ესპანელი მხატვრის ავგუსტო ფერნანდო დალმაოს ნამუშევრებთან ერთად წარმოდგენილი იყო ხელოვნების სასახლის კოლექციაში დაცული გრიგოლ გაგარინის ესკიზები ქართველთა სამხედრო ალკაზმულობის შესახებ, მხატვრების თინათინ კლდიაშვილისა და ეკატერინე გეგუჩაძის მიერ ქსოვილზე შესრულებული სხვადასხვა საბრძოლო სცენა ქართული მინიატურებიდან და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ტილოები, რომლებზეც 1918-1921 წლებში მოღვაწე ქართველი გენერლები არიან წარმოდგენილი. ესპანელმა მხატვარმა ავგუსტო დალმაომ გამოფენაზე დიდგორის ბრძოლის ქართველი რაინდის პორტრეტი გამოფინა. გამოფენამ დიდი დაინტერესება გამოიწვია ესპანურ ტელევიზიებში. ქართული ექსპოზიცია მადრიდში ერთი კვირა გაგრძელდება.

# სამგლოვიარო განცხადებები

## მანანა გაბუნიას გამოსათხოვარი



ეს გაზაფხული უკანასკნელი გამოდგა მანანა გაბუნიასათვის...

12 მაისის დილას ჩვენმა სათნო, ლამაზმა მეგობარმა სამუდამოდ მიატოვა ეს წუთისოფელი და მარადიულ სამყოფელში გადაინაცვლა.

ბავშვობიდანვე ნიჭიერებითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა – სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და, მრავალმხრივი ინტერესების მიუხედავად, ურთულესი და უკეთილშობილესი პროფესია – ექიმობა აირჩია. ეს არჩევანი ზუსტი და გამართლებული აღმოჩნდა. ამის დასტურია სამედიცინო ინსტიტუტის წითელი დიპლომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, კარდიოლოგიის პროფესორის საპატიო წოდება... ის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა მაღალი პრესტიჟის მქონე სეჩენოვის სახელობის პირველ სამედიცინო უნივერსიტეტში – დაუღალავად, ერთგულად და უპრეტენზიოდ ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

მანანას ნატიფი სული მუდმივად მშვენიერებას მიელტვოდა. მუდამ ცდილობდა, ყოველდღიურობის უსახურობანი პოეზიის, მუსიკის, ხელოვნების მომხიბლავი ფერებით გადაეფარა. გატაცებით შეეძლო საუბარი საყვარელ წიგნზე, ლექსზე, ახალ თეატრალურ შთაბეჭდილებებზე. ის მხოლოდ სხეულის კი არა, სულის მკურნალიც იყო!

სხვების ჯანმრთელობაზე მზრუნველს, სრულიად მოულოდნელად, უკურნებელი დაავადება დაუდგინეს. წლების მანძილზე გასაოცარი მოთმინებითა და ნებისყოფით ებრძოდა შიშსა და ტკივილს, მხნეობასა და იმედს არ კარგავდა, მეტიც – სხვებს იქით ამხნევებდა და ამშვიდებდა. ბოლო დღეებამდე ზრუნავდა და ფიქრობდა ოჯახზე – საყვარელ მეუღლესა და შვილზე.

გვჯერა, ამქვეყნიდან ნათელ შუქად გაჰყვა ერთადერთი ვაჟის – ჩვენი საამაყო ირაკლის ბედნიერება, მაგრამ, ალბათ, გრძნობდა და ძალიან წუხდა, რომ შვილიშვილების დაბადების სიხარულს ვეღარ მოესწრებოდა.

მანანა გაბუნიას წასვლით ოჯახმა შესანიშნავი მეუღლე და დედა დაკარგა, მეგობრებმა – ფაქიზი, სანდო და ერთგული ადამიანი, ხოლო ქვეყანამ – მაღალი შეგნების მქონე პიროვნება და მოქალაქე, თავისი საქმის პროფესიონალი.

ალბათ, სიმბოლურია, რომ მანანას გარდაცვალება ერთ-ერთ უდიდეს მართლმადიდებლურ დღესასწაულს – საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის დღეს დაემთხვა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, უფალმა დაგიმკვიდროს ადგილი ცათა სასუფეველში!

ჩვენ მუდამ გვემახსოვრები, წუთისოფლიდან ნაადრევად წასულო მეგობარო!

მეგობრები – თენგიზ ცერცვაძე, ნოდარ ემუხვარი, რეზო გაგუა. ნათელა მითაიშვილი, ცისანა შარტავა, მერცია ბოსტოღანაშვილი, მანანა მალანია, ლალი ჭილაია, ლარისა ჩხაიძე, დალი ბედია, ნუგზარ კუჭავა, ანა თოფურია, სვეტა მარკოზაშვილი, ნუნუკა ალასანია, მაია ბოკუჩავა, მანანა ზოდელავა, ნინო ცხოვრებაშვილი, გულიკო ასათიანი, ზიზი ცაგარეიშვილი, ნანა შველიძე, მზია ასათაშვილი, მანანა გამგონეიშვილი

ჯუმბერ კაკუბავა, ანდრო ჭელიძე და ზურაბ გერგედავა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მანანა გაბუნიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

# საქართველო ევროვიზიის ფინალში გადავიდა

საქართველო ევროვიზიის ფინალში გადავიდა. რიგით 61-ე ევროფესტივალს შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი მასპინძლობს.

საქართველოს წელს ნიკა კოჩაროვი და ჯგუფი იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ წარადგენს სიმღერით „შუაღამის ოქროს“.

წელს ფესტივალში 42 ქვეყანა მონაწილეობს. ევროფესტივალის ორივე ნახევარფინალში 18-18 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა, მათგან კი ფინალისტი მხოლოდ 10-10 ქვეყნის კონკურსანტი გახდა.

ქართველმა კონკურსანტებმა ევროვიზიის მეორე ნახევარფინალში იმღერეს და რჩეულ 10 ფინალისტს შორის აღმოჩნდნენ. საქართველოსთან ერთად ფინალში გადავიდნენ უკრაინა, ლატვია, ბულგარეთი, ავსტრალია, სერბეთი, ბელგია, პოლონეთი, ისრაელი და ლიტვა.

პირველი ნახევარფინალიდან ფინალში გადავიდნენ რუსეთი, აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, უნგრეთი, სომხეთი, ხორვატია, კვიპროსი, ავსტრია, ჩეხეთი და მალტა.

გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ და ევროპელმა მაყურებელმა ხმის მიცემის შედეგად, ერთობლივად გამოავლინეს. „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსის წესის თანახმად, ფინალში



ავტომატურად გადადიან მასპინძელი ქვეყნის შვედეთის და ე. წ. დიდი ხუთეულის გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის და იტალიის წარმომადგენლები. დანარჩენი 20 შემსრულებელი ნახევარფინალური ტურებიდან შეირჩა.

ევროფესტივალის ფინალში ქართველი მონაწილეები ნიკა კოჩაროვი და ჯგუფი იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ 23-ე ნომრად იმღერებენ. ევროფესტივალის გრანდიოზული ფინალი 14 მაისს ჩატარდება, სადაც შოუს დასასრულს გამარჯვებული ქვეყნის კონკურსანტი დასახელდება.

2016 წელს ევროვიზიის სიმღერის კონკურსის წესებში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა ხმის მიცემის პროცედურაში. თუ წინა წლებში პროფესიონალი ჟიურისა და მაყურებლის ხმის მიცემის შედეგები ერთიანად, პრინციპით 50/50%-ზე იყო წარმოდგენილი, წელს მაყურებლისა და ჟიურის ვერდიქტები შოუს ფინალში ცალ-ცალკე გამოცხადდება. ხმის მიცემის პროცედურა სცენაზე ბოლო კონკურსანტის გამოსვლის შემდეგ დაიწყება და 15 წუთს გაგრძელდება. თითოეული კონკურსანტი ქვეყნიდან მაყურებელი და ჟიური შეაფასებენ მონაწილეებს 1-დან 8, 10, 12-მდე ქულათა სისტემით. შედეგები ცალ-ცალკე გამოცხადდება. ხმის მიცემის ამ გართულებულ სისტემაში შედეგების შოუს დასრულებამდე პროგნოზირება, წინა კონკურსებისგან განსხვავებით რთული იქნება. გამარჯვებულის ვინაობას შოუს დასასრულს წამყვანები გაახმიანებენ. მონაცემების დეტალურად გაცნობა შესაძლებელი იქნება ევროვიზიის ოფიციალურ ვებგვერდზეც.

საქართველოს შედეგებს წელს ევროპას მომღერალი ნინა სუბლატი გააცნობს.

გამარჯვებული კონკურსანტი კი თავის ქვეყანას მისცემს შანსს, რიგით 62-ე ევროფესტივალის მასპინძელი გახდეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი



## 14 მაისისთვის

**ვერძი** – ემოციური თვალსაზრისით სახიფათო დღეა. ყოველგვარი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს. **კურო** – დაისვენეთ აქტიურად. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეგობრები და ახლობლები დაგეხმარებიან. თავს ნუ გადაიტვირთავთ, აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ტყუპები** – მოემზადეთ სასიამოვნო მოულოდნელობისათვის. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. **კირჩხიბი** – დღეს განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მამაკაცებისათვის, რომლებიც კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი. სამაგიეროდ, ქალებს შესაძლოა ვინმემ მახე დაგიგოთ. ერიდეთ უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას. **ლომი** – სულიერ წონასწორობას აღგიდგენთ ბუნებაში გასეირნება. სიფრთხილე გამოიჩინეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელის მოწერისას. **ქალწული** – ჰარმონიული დღეა. პლანეტები გმფარველობენ. ადამიანებთან ურთიერთობაში მეტი ტაქტი და თავშეკავება გმართებთ. **სასწორი** – აუცილებლად გამონახეთ დრო და გაისეირნეთ ქალაქგარეთ. რეკომენდებულია ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშები. **ღრიანკალი** – მშვენიერი პერიოდი გაქვთ. ძველი კავშირების აღდგენა და განმტკიცება წარმატებას მოგიტანთ. საღად იაზროვნეთ და მოვლენები ადეკვატურად შეაფასეთ. **მშვილდოსანი** – ყველა სფეროში წარმატებული დღე გაქვთ. ნებისმიერი საქმე იოლად გამოგივათ. **თხის რქა** – სახიფათო დღეა. პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე აუცილებლად უნდა იტვირთოთ. **მერწყული** – მშვიდად იყავით. დათრგუნეთ პატივმოყვარეობა და სიამაყე. უფროსი ასაკის ადამიანების რჩევები გაითვალისწინეთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი და რთული დღეა. რეკომენდებული არ არის საყიდლებზე წასვლა, მნიშვნელოვან დოკუმენტებზე ხელის მოწერა. უფროსობასთან დაძაბული ურთიერთობა გაქვთ.

## 15 მაისისთვის

**ვერძი** – ემოციური თვალსაზრისით სახიფათო დღეა. ყოველგვარი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს. **კურო** – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. ახალი კავშირების დასამყარებლად კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – დღეს გარისკვას ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვება. ვითარება თქვენგან სიმამაცესა და შეუპოვრობას მოითხოვს. ამის მიუხედავად, რეზულტატი არასახარბიელო აღმოჩნდება. **კირჩხიბი** – გადაწყვეტილების მიღებისას სიმტკიცე გმართებთ, თუმცა სასურველ შედეგს ნუ დაელოდებით. მცდარი ინფორმაცია უსიამოვნების მიზეზი გახდება. **ლომი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მთავარია, დაწყებული საქმე დაამთავროთ და სამომავლოდ არ გადადოთ. ნათესავებთან ურთიერთობა უკეთესობისკენ იცვლება. **ქალწული** – დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. **სასწორი** – კარგი დღეა ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად, ინფორმაციის მისაღებად. გარშემომყოფები თქვენს აქტიურობას სათანადოდ დააფასებენ. **ღრიანკალი** – დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა წარმატებას მოგიტანთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტრაქტების გასაფორმებლად, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. მოვლენები თქვენ სასიკეთოდ იცვლება. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალია. ყურადღებით იყავით პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. **თევზები** – პროფესიული საქმიანობა თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მამაკაცებს დღეს წარმატება ელით კარიერაში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბედ-იღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა, ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. ღვინის მწარმოებელი კომპანია საქართველოში; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 14. ბროშში ან ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. გადასახადი სახელმწიფოში შემოტანილ საქონელზე; 20. ისტორიული სახელმწიფო მცირე აზიაში.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 6. შვეიცარიის დედაქალაქი; 9. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. დამარილებული, შებოლილი ღორის ხორცი; 15. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 18. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. ცვილის დიდი სანთელი; 22. ქართველ მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ვაიკულე; 2. ლიქიორი; 3. ეგეოსი; 4. შპრეე; 5. „არსენალი“; 7. მზე; 11. როკოკო; 15. არიფანა; 16. „კომბლე“; 17. ბადრო; 18. ელესა; 20. გუელი; 22. კაპი.

**თარაზულად**: 6. ალლუმი; 8. ქირურგი; 9. ბენთოსი; 10. კარცერი; 12. კასიო; 13. ებანი; 14. კლაკიორი; 19. ეპილოგი; 21. მაროკო; 23. „ლაკმე“; 24. წრიაპი; 25. ინსულტი; 26. შატბერდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჰეტმანი; 2. კასიკი; 3. პირამიდა; 4. ბადაგონი; 7. სოვდაგარი; 8. ღლიღვები; 12. ვესტერნი; 14. კაშაგანი; 16. კოლიბრი; 17. „მარტინი“; 19. „ჯამუ“; 20. ციხე.

**თარაზულად**: 5. პერკუსია; 6. პრიმადონა; 9. „ნაბუკო“; 10. კორომი; 11. დინგო; 13. პეტრა; 15. „სამაია“; 18. გორდი; 21. „პასტორალი“; 22. ბერინგი; 23. მუტრუკი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 მაისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2126

ევრო — 2.5213

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.191

100 რუსული რუბლი — 3.3499

**ამინდის პროგნოზი 14 მაისისთვის**




## კალეიდოსკოპი



## ბრიტანელ ბარონესას 22 წლის ვიეტნამელი ბავშვი ეგონა



ბრიტანელმა ბარონესამ მიშელ მონმა ხელში აიყვანა 22 წლის ვიეტნამელი, რომელიც ბავშვად მიიჩნია.

მონი მეწარმეთა კონფერენციას დაესწრო, რომელიც ვიეტნამში გაიმართა. საცვლების ბრენდის ულტიმოს დამფუძნებელი სიტყვით გამოვიდა ღონისძიებაზე დამსწრე სამიათასკაციანი აუდიტორიის წინაშე. მისი გამოსვლის შემდეგ სცენაზე ბარონესასთვის ყვავილების თაიგულის გადასაცემად ავიდა ნგუენ ტან პატი. მიშელ მონმა ის დაბალი სიმაღლის გამო ექვსი წლის ბავშვად ჩათვალა და მასთან ფოტოსურათის გადასაღებად ხელში აიყვანა.

ბარონესას თქმით, ამის დანახვაზე დარბაზი ახარხარდა.

## ხორვატი ბებიას მაკიაჟი ინტერნეტსენსაციად იქცა



80 წლის ხორვატი ქალბატონი ლივია მულაჩი სოციალური ქსელების ვარსკვლავად იქცა და მსოფლიო მედიის ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, როდესაც მისმა შვილიშვილმა, ვიზაჟისტმა თეა ფლეგომ, მოხუცი ქალბატონისთვის პროფესიონალური მაკიაჟის შექმნის პროცესის ამსახველი ვიდეო ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

კლიპში ასახულია, თუ როგორ გარდასახა საკუთარი ბებია დეკორატიული კოსმეტიკისა და მაკიაჟის გაკეთების თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. ის ვიზუალურად გააახალგაზრდავა და მომხიბვლელი გახადა.

ამ ვიდეოს განთავსების შემდეგ ფლეგოს გვერდს უკვე 83 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. გარდა ამისა, ლივიასა და თეას მრავალმა ინგლისურენოვანმა გამოცემამ მიუძღვნა სტატიები.

## ავსტრალიელი ტყუპების ფოტოებმა ფეისბუქი დაიპყრო

ავსტრალიის ქალაქ პერტის მცხოვრებმა და ხუთი შვილის დედამ ფოტოსესიაში პირველად მიიღო მონაწილეობა თავის ახალშობილებთან ერთად. ფეისბუქში გამოქვეყნებულმა ფოტოსურათებმა სოციალური ქსელის მომხმარებელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. კიმ და ვონ ტუჩები ოთხი გოგონასა და ერთი ბიჭის მშობლები 2016 წლის იანვარში გახდნენ. 26 წლის კიმმა ბავშვებთან ერთად გადაიღო ფოტოსურათები, რომლებიც პასტელის ფერის საფენებში იყვნენ გახვეულნი. მიუხედავად იმისა, რომ ტუჩებს ადრეც გამოუქვეყნებიათ სოციალურ ქსელებში ბავშვების ფოტოსურათები, ახლანდელი მათი ხუთი ტყუპისთვის პირველი პროფესიონალური ფოტოსესია იყო. წყვილმა ფოტოსურათები ფეისბუქში თავიანთ საერთო გვერდზე გამოაქვეყნა. ფოტოსესია ფოტოგრაფმა ერნი ელიზაბეტმა ჩაატარა.




## ტეხასელი კატა ყველაზე ხანდაზმულად აღიარეს

ამერიკის ტეხასის შტატში 30 წლის სიამის კატა, სახელად სკუტერი, მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულად აღიარეს. ამ ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. კატა 1986 წლის 26 მარტს დაიბადა და მას შემდეგ თავის პატრონ გეილი ფლოიდთან ცხოვრობს. მისი პატრონის თქმით, სკუტერს უყვარს მოგზაურობა და მასთან ერთად ამერიკის 45 შტატი აქვს მოვლილი. თავისი მიღწევით სკუტერმა გაუსწრო კატას, სახელად ველვეტს, ორეგონის შტატიდან, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში 26 წლის ასაკში მოხვდა. ამ დრომდე ყველაზე დღეგრძელი კატის წოდებას, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ, კრიმ პაფი ინარჩუნებს. მან 38 წელი იცოცხლა და 2005 წლის აგვისტოში მოკვდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

თანამშრომელი სასიძოს ეკითხება:

— შენი საცოლის სურათები შიშველ მდგომარეობაში გაქვს?

— არა!

— გინდა, გადმოგიგზავნო?

•••

საცოლე სასიძოს ეკითხება:

— სვამ?

— არა.

— ეწევი?

— არა.

— აზარტულ თამაშებს თამაშობ?

— არა.

— ე.ი. გამოდის, რომ უარყოფითი თვისებები არ გაქვს.

— ერთი მაქვს. ტყუილი მიყვარს...

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:

— სვამ?

— არა.

— ეწევი?

— არა.

— ტყუილად წვალობ, რაიმეს მაინც გიპოვი...

•••

ავარიის შემდეგ ქალი საავადმყოფოში მიიყვანეს. მორიგე ექიმი სინჯავს დაშავებულს და ექთანს ავადმყოფობის ისტორიაში ჩასაწერად კარნახობს:

— მარცხენა ლავიწის ძვლის მოტეხილობა, მე-6 და მე-7 ნეკნის მოტეხილობა, დაზიანებულია თავის ქალა.

შემდეგ ავადმყოფს ეკითხება:

— ქალბატონო, რამდენი წლის ხართ?

— 27-ს.

ექთანს მიუბრუნდა და ეუბნება:

— და კიდევ ჩაწერე, სრული ამნეზია!




**17 მაისიდან**

**გი დე მოპასანი**

**ლამაზი მეგობარი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 3

**წიგნისა და გაზეთის ფასი 11 ლარი**





## ჩაშლილი ვარსკვლავური ტრანსფერები

ინგლისურ მედიაში გამოჩნდა ინფორმაციები, სადაც სხვადასხვა დროს, ბევრ ცნობილ ვარსკვლავს ტრანსფერი ჩაეშალათ ისეთ გუნდებში, რომელში მოხვედრის შემდეგ საფეხბურთო ისტორია სხვაგვარად შეიცვლებოდა.

ლეგენდარულ ბრაზილიელ პელეს ევროპაში არ უთამაშია, მაგრამ ძალიან ახლოს იყო ბებერ კონტინენტზე გადაბარგებულიყო. პელეს მიმართ ინტერესს ესპანური, ინგლისური და იტალიური გრანდები იჩენდნენ, თუმცა საბოლოოდ მან სამშობლოში დარჩენა ამჯობინა.

— მადრიდის რეალთან ერთად ჩემი გადაბირება მანჩესტერ იუნაიტედსა და ტურინის იუვენტუსს სურდათ. ევროპაში თამაშზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ სანტოსში დარჩენა ვამჯობინე, — იხსენებს ფეხბურთის მეფე.

დიეგო არმანდო მარადონა კი, შეფილდმა ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში შეამჩნია და მისი საკუთარ რიგებში ხილვაც სურდათ, თუმცა ბოლოს ალექს საბელია შეიძინეს და ლიგიდანაც გავარდნენ.

ერთი თაობის ორ უნიჭიერს ფეხბურთელს, რუდ გულიტსა და პოლ გასკოინს იფსვიჩში ერთად თამაშის შანსი ჰქონდათ, თუმცა სერ ბობი რობსონმა ტრანსფერზე უარი თქვა, რადგან გულიტს დისციპლინა დაუწუნა, გასკოინის შემთხვევაში კი შემაფერხებელი ჭარბი წონა იყო.

გასკოინს შეეძლო მანჩესტერ იუნაიტედშიც ეთამაშა — ნიუკასლიდან წასვლის შემდეგ მას წინადადებები ტოტენჰემისგანაც ჰქონდა. სერ ალექს ფერგიუსონი მალტაზე ისვენებდა, როცა გასკოინმა მას მანჩესტერში გადასვლის პირობა მისცა. რამდენიმე დღეში კი შოტლანდიელმა სპეციალისტმა გასკოინის ტოტენჰემში გადაბარგების შესახებ შეიტყო.

ზინედინ ზიდანის ბლექბერნის მწვრთნელ კენი დალგლიშს 1995 წელს ფრანგი ვარსკვლავის შეძენა სურდა, თუმცა პრეზიდენტ ჯეკ ვოლკერისგან უარი მიიღო იმ არგუმენტით, რომ მათ ტიმ შერვუდი ჰყავდათ. სამი წლის შემდეგ ზიდანი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული და „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა.

ბლექბერნისთვის მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატების კიდევ ერთი ქარს გატანილი შესაძლებლობა რობერტ ლევანდოვსკია.



როვერსმა ლეხს ფორვარდის სანაცვლოდ 4,2 მილიონი ევრო შესთავაზა და მხარეებიც თითქოს ყველაფერზე შეთანხმდნენ. ფეხბურთელი ინგლისში აპირებდა გამგზავრებას, თუმცა ისლანდიაში ვულკან ეიაფიალაიეკულის ამოფრქვევის გამო ევროპის მასშტაბით საჰაერო მიმოსვლა შეფერხდა, გადაიდო ლევანდოვსკის რეისიც. მოგვიანებით, კი მისი ტრანსფერიც ჩაიშალა.

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი რივალდო ბოლტონში გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო. მოლაპარაკებების დასკვნით ეტაპზე მხარეებმა იმაზეც კი ისაუბრეს, რომ ბოლტონში გადასვლის შემთხვევაში ფეხბურთელი მანჩესტერში იცხოვრებდა. მაგრამ, საბოლოოდ ტრანსფერი არ შედგა.

**მ. ჟ.**

## ქართველი მომღერალი ავსტრიის „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მესამე ადგილზე გავიდა

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მცხოვრები ქართველი მომღერალი გიორგი მაკალათია მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მესამე ადგილის მფლობელი გახდა. გიორგის გამოჩენას პროექტში ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, რადგან 134 კილოგრამიანი წონის და 49 ზომა ფეხის პატრონს ცეკვა უნდა გასჭირვებოდა, თუმცა გიორგიმ და მისმა მეწყვილემ შეუძლებელი შეძლეს, ტურიდან ტურში წარმატებით გადავიდნენ და ფინალისტობასაც გამოკრეს ხელი. მომღერალი გიორგი მაკალათია უკვე 27 წელია, ვენაში ცხოვრობს. მან პროექტის ჟიურის და მაყურებლის მოხიბვლა პირველივე ტურში შეძლო. ოთხი შვილის მამამ ყველა კონკურსანტს აჯობა, ყველა ტიპის ცეკვა იცეკვა და მესამე ადგილიც დაიმსახურა.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართული მითოლოგიის გმირი; 2. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 3. ტყვიათუთიის საბადო სამაჩაბლოში; 4. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 5. ფუტკრის სკის შავი ფიჭა; 7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 11. მიწისქვეშა საკანალიზაციო არხი, სადინარები დიდ ქალაქებში; 15. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ჭადრაკში; 16. ფრანგი კინორეჟისორი; 17. ინდიელისა და ზანგის ქორწინების შთამომავალი; 18. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 20. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 22. საქონლის წონა შეუფუთავად, სუფთა წონა.

**თარაზულად:** 6. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 8. ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქი; 9. უვიცი, უცოდინარი რაიმე საქმეში; 10. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმით ან სხვა ტონალობით; 12. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 13. ვინმეზე გაწეული მზრუნველობა; 14. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 19. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვეიცარიაში; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 23. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 24. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 25. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 26. კათოლიკური მონასტერი პოლონეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი